საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ტანობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.
მისამართი: თბილისი, სახახლის ქ. № 5. **კონტორის ტელეფ. 15—73.**

ფასი 5 მან.

ოთხშაბათი. მარტი 24 1920 წ. № 63

ფასი 5 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საამცა. საზ. „ფილმას" მიერ თბილისში გადალებული

მითხარი რისთვის?

კინოდრამა 5 ნაწილად.

მარტის 23 და 24

მომქმედი პირნი: „ტარტოს" დრამის მსახიობი პ. ა. ქაშევსკი, მ. ა. ჩარსკაია, კორეეცკის როლში ევგენია სემორ, ანნა დავიდოვა ვიქტოვი, არბატოვი და სხვა.

თბილელ მსახიობთა მონაწილეობით (ნოკტიურნ) შოპენისა

დადგმა ვ. ბ. ბარსკის, მხატ. ვ. ა. სიმიკოვის მონაწილეობით.

ქართული კლუბი

ხუთშაბათს, 25 მარტს

ქართულ დრამატიულ სტუდიის მიერ წარმოდგენილი იქნება

ივერიის ოჯახი

3 მოქ. გად. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ: ქქ. ანჯაფარიძე ე., გამრეკელი ბ., ეპიტაშვილი ს., ქიქოძე ალ., ქიქოძე ან., ციმაკურიძე ე. ბბ. გელოვანი მ. ვასაძე ა., სარაული მ., ფროლისპირელი გ., ჰიაურელი მ.

რეჟისორი ბ. ქორელი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

კლუბში შესვლა საზოგადო წესით. 56 2—1

დედა ანა სტეფანეს ასული ოცხელისა, დები სოფიო ივანეს ასული პოლოლიკაშვილისა და ნინო ივანეს ასული სააკაშვილისა, ძმები სიმონ, დავით და კონსტანტინე ივანეს ძენი ოცხელნი ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 27 მარტს ქუთაისის ეპისკოპოსის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარის

იოსეფ ივანეს ძის ოცხელის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.
3—3006—1

ეროვნულ-დემოკრატიული ბანაკის

ბანკეტი

ალპრე

პლეხანოვის ქ. 91

პროტოზანოვის

დადგმით

მიხეილის

მთავარ როლებში: **რიმსკი, იუქაკოვი** და **გაიდაროვი.**

ხან იმედი და ხან გრძ. იჭვიანობა

სამხატვრო დრამა 5 მოქმედებად.

სიმფონიური ორკესტრი.

ეკიმი

დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

ავადმყოფის მიღება 12—1 ნახ. ს.
მადათოვის ქ. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16-65.

ბანკეტი თამაშმეგზეს

მედიცინის დოქტორი

მ. ა. ახვერდოვი

პეტროგრადის ვენერიული კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს ავადმყოფებს **სპეციალურად ვენერიულის. სიფილისის, კანის ავადმყოფებიანი,** დილით 10 12 საათამდე, საღამოს 5—7 ნახ. საათ. ახალ ბინაზე **მიხეილის** პრ. № 7 **ვორონცოვის ძეგლთან.** შესავალი **ეკლესიის ეზოს კუთხიდან.**

კვირას 7-ი მარტიდან თბილისში გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი

„სასოფლო გაზეთი"

„სასოფლო გაზეთს" აქვს შემდეგი განყოფილებანი:

საშინაო და **საგარეო** პოლიტიკა, **მეგობრობა** და **მეგვენახეობა, მეცხოველეობა, ვაჭრობა** და **მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო კულტურა, სასოფლო ცხოვრება.**

„სასოფლო გაზეთში" მონაწილეობენ იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს" ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 12 მან.
თითო ნომერი 3 მან. რედაქტორი **ნიკო ქაიშაური** 4 3 17

საქართველოს მწერალთა კავშირი

იწვევს ამა წლის 4 აპრილს

ქართველ მწერალთა მეოთხე ყრილობას

ყრილობა გაიხსნება ქართულ კლუბის დარბაზში.

ყრილობის წესრიგი:

1. მოხსენება საბჭოს მოღვაწეობის შესახებ.
2. საბჭოს ანგარიშები.
3. წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა.
4. მიმდინარე საკითხები.
5. საბჭოს წევრთა არჩევნები.

55 5—1

გენერალ კერესელიძის

რაზმის ყოფილ მოსამსახურეთა საყურადღებოდ

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტრო ცხადებს,

რომ მის კომპეტენციაში არ შედის ჯამაგირით და სხვა გვარ ფულით დაკმაყოფილება ალნიშნულ პირთა რიცხვში სამსახურისათვის. ამის გამო, ზედ-მეტ მიმოწერის და დროს უბრალოდ დაკარგვის თავიდან ასაცილებლად ამ გვარ თხოვნებით წასენებული პირები **ნუდარ მიმართავენ** სამხედრო სამინისტროს.

53 3 3

პირველხარისხოვანი

რესტორანი

„მტკვრის-პირას"

ევროპიული და აზიური კერძები

ადგილობრივი და საზღვარგარეთული **სასმელები** საუკეთესო ფირმებისა და მარკისა.

შეიძლება დაკვეთა ყოველგვარ **ნადილ-ზეიმისა.**

რესტორანთან მოწყობილია საუკეთესო ახლად შეკეთებული **მყუდრო**

საოჯახო დარბაზები

რესტორანი ღიაა დღის 10 ს. ღამის 2 საათამდე.

3004 10—2 **პატივისცემით დირექცია.**

დღეს სამშაბათს მარტის 23-ს

ხანგრძლივ შეკეთების შემდეგ კვლავ იხსნება რესტორანი

„არწივი"

თბილისელთა ამხანაგობა არ ინანებს არავითარ **ხარჯებს.** რესტორანთან საზოგადოებისთვის იმართება **კონცერტი. კაბარე,**

მხიარული არლეკინი

ამისთვის მოწვეულები არიან საუკეთესო არტისტიული ძალები, რომელნიც თბილისში პირველად ჩამოვიდნენ საგასტროლოდ. ცნობილ მსახიობის ფ. ს. ალე სანდროვის გამგეობით.

პირველი გასტროლი — **როზიჩკა კარმენის** ი. ლ. ბსკის, **შახმატოვის,** ზორინის, დინდანის, მორსკაიას, ვედენეკოვას, ბალარსკაიას, თამარა გრიგორიანსკაია, ვალერსკო და კ. დენ 15 ნომერი. სადილის დროს **უკრავს** სიმფონიური **ორკესტრი.**

ბუფეტში იმოვნება საუკეთესო საუზმე და სასმელები გარეშე კონკურენციისა.

სახლები

იყიდება დიდუბეში სამ სართულიანი 64 ნათელ ოთახიანი 200 კვ. საჟ. ეზოთი და აგლაბარში ორ სართულიანი 48 ნათელ ოთახიანი 120 კვ. საჟ. ეზოთი. პირობების გაგება შეიძლება აკოპოვთან 3—6 საათ. ნიკოლაევის ქუჩა № 46.

3007 1—1

პირველ-ხარისხოვანი

ცირკი „პრისტენს"

ვერის დადმართზე. ტელ. 5—82.

ოთხშაბათს, მარტის 24-ს 1920 წ.

შესდგება გრანდიოზული წარმოდგენა ახლად ჩამოსულ მსახიობების მონაწილეობით. დღეს 1 გასტროლია საპატერი **გიმნასტების** მთის **არწივების** ძმ. ხანდაროვების. ფრანგულ ჭიდაობის ჩემპიონატის გაგრძელება 1920 წ. მსოფლიო ფალავნის სახელ წოდების მასალებად. არბიტრი **ვოლოდია კვიატკოვსკი.**

დღეს ჭიდაობენ:

1) გადამწყვეტი ჭიდაობა—რეგანში **კალიშევიჩის** გამოწვევით, **რომელმაც** თავი არ ჩათვალა დამარცხებულად „ნეიზვესტნთან", ამიტომ **დღეისთვის** ინიშნება მათი შეხვედრა. **კალიშევიჩ—„ნეიზვესტნი".**

2) **ჯოგანი—მაკროვი.**

3) ტეხნიკების შეხვედრა: **ფილიპენკო—ოლეინიკოვი.**

ანონსი: ამ დღეებში საქართველოს **უფონიერეს** ფალავნის **ხანდრო კანდელაკის** ბენეფისი.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე. × ბარადი 10 ნახ. საათზე.

გამგე: **იურიევი.**



ქიმეროიზნი

(რუსთაველის ქ., 23.)

ყოველ დღე 1—5 საათამდე.

სადილები

დღეს ახალი პროგრამაა.

1. მეფე, ქალი, ვალეტი.
2. მრუდე ბარკეში.
3. სალონის ცეკვა **ტრუშის და ბელტესი.**
4. ბოშების ხორო **ფეხენკოსი.**
5. **ვალერი ბელსკი.**

დასაწყისი 11 საათზე.

ანონსი. პარასკევს, 26 მარტს გრანდიოზული საღამო „ციხეფერი ყანწები"-ს ბოეტების

ლიდია ჯონსონი, კონსტანტინე ალკეროვი, გამოჩენილი ბოშა ქალი? ფესენკოს ხორო

ქართული და სპარსული ცეკვანი.
ნინა წერეთლის, თავადი იასე.
ანდრონიკაშვილის, მეიურეი ცეკვა
ხანჯლებით **პარასტაევის** და **კუსოვის** საუკეთესო ქართული მოცეკვავენი.

პოეტები „ფიგაროს" როლში

ტრუში და ბელტე, ვალერი
ბელსკი ახალი კუპლეტებით, აუარებელი ფერადი ჰაერის ბუშტები.
ახი ციხეფერი ყანწი საჩუქრებისთვის.
პლაკატები ხანდრო ზალცმანი.
დანარჩენ მაგიდაზე მიიღება ჩაწვრა.

საფრთხის წინაშე!

პოლიტიკური ჰაერი დამძიმდა! ყოველ დღეს ახალი განსაცდელი მოაქვს და საქართველოს ახალ-ახალი საფრთხის წინაშე აყენებს!

ბოლშევიკები—ოკეკ მორიგი საფრთხეა, რომელიც მთელი თავისი სიგრძე-სიგანით იქნება ჩვენს წინაშე დაიღარ შეგვიძლია რომ მას სერიოზული ანგარიში არ გაუწიოთ.

მოსკოვის ფოთელი დროშები ისე ახლო მოადგენ საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებს, რომ მდგომარეობა განსაკუთრებულ გარეულებას აპირებს და განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს ჩვენგან!

ქუჩაში, საზოგადო დაწესებულებებში, ყველგან ლაპარაკია ბოლშევიკების შესახებ და საზოგადოებას ნერვიული ატმოსფერა იცავს.

წამოვლენ თუ ეარ ბოლშევიკები ჩვენს წინააღმდეგ?—თუ მდგომარეობამ ხელი შეუწყოთ, რასაკვირველია წამოვლენ და ამაში ეჭვი არავის არ უნდა აღეძრას!

ბოლშევიზმი იმ სახით, რომელიც მან დღეგანდელ რუსეთში მიიღო, ისევე წინააღმდეგია საქართველოს არსებობისა და მისი დამოუკიდებლობის როგორც ძველი რუსეთის მთავრობა! ბოლშევიზმი ისევე წინააღმდეგია ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზედ მოსახლე ერთა ჩამოწორებისა, როგორც ძველი რუსეთი, რომლის ალდგენის და ჯერთიანების პირდაპირ მემკვიდრეთ დადგა ახალი იდეა ბოლშევიზმისა!

დღე ნურავინ ნუ შეგვიცდომაში, რომ ბოლშევიკები მართლა შეასრულებენ იმ მყვირალა ლოზუნგებს, რომელთაც გვითვლიან თავიანთ პროკლამაციებში!

— ამის საუკეთესო მაგალითი მათი რუსეთია, რომელიც მათი ბატონობის გამო ცეცხლის, სისხლის ქაოსად იქცა და დაანგრია და დააქცია ყველა მიღწევანი კულტურისა და პროგრესისა და ქვეყანა ბარბაროსობის ეპოქაში დაუბრუნა!

ლოს მედგრად დადგეს, ყოველივე განსაცდელის წინაშე.

დღეს:

საფრანგეთი საბჭოთა რუსეთთან საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს.
ფრანგული ცნობებით გერმანიაში გაფიცვები გრძელდება.
ეკატერინოდართან ბოლშევიკებმა დაატყვევეს ოცი ათასი მოხალისე და დიდძალი იარაღი ხელთ იგდეს.
თბილისში ამოძაჩინეს და შეიპყრეს კომუნისტების სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტი.

წერილები:

მეთაური—საფრთხის წინაშე.
— კონტრ-რევოლიუცია გერმანიაში.
ავ. აბესაძე—აჭარა.
— პროექტი საქართველოს ეკლესიის კონსტიტუციისა.

საქართველომ ამდენი ხანი, განა მისთვის იბრძოლა რომ ერთის დაკარით რუსეთის ველურებს მისცეს გასაბრძოლად თავისი ქვეყანა?

საქართველომ განა მისთვის დაიხსნა თავი მონობისაგან, ესოდენი შრომითა და სისხლით, რომ ბოლშევიკების ახალ უღელში გაებას?

და ეს უღელი ხომ ყველაზე უფრო საოცარი და მტანჯველია, რომელიც ოდესმე კაცობრიობას უნახავს!

არა! საქართველომ იცოს ფასი თავისუფლების, საქართველომ იცის ფასი თავისი ძველი კულტურის და წინაპართა მიღწევის, რომ რუსი-მუჟიკის ხაფანგში ასე ადვილათ არ გაებას!

ჩვენ ყოველ დღე გვეკითხებიან: წამოვლენ ბოლშევიკები საქართველოს წინააღმდეგ თუ სცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობას? და ჩვენ გუდა ახდილად და პირ ნათლად უცხადებთ ყველას, რადგან დღევანდელ მომენტში მხოლოდ სიმართლე უნდა ითქვას: ამაოა ყველა იმ პირთა ცდა, რომელთაც ჰსურთ მომდგარი საფრთხე მიაყენონ და ხალხს თვალები აუხვიოს იმის თქმით, რომ ბოლშევიკები ქართველ ხალხს არ ებრძვიან! – ჩვენ ვაცხადებთ, რომ თუ ბოლშევიკებმა შესძლეს, ისინი უფიქოდ წამოვლენ საქართველოს წინააღმდეგ და ყოველ ძალას იხმარენ, რომ ჩვენი ქვეყანა დააპყრან; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩრდილოეთიდან მომდგარი წითელი ჯარები, არც ისე ძრაკალ-რიცხოვანი არიან, რომ ჩვენი დაძლევა შესძლონ! მათ მხოლოდ იმის იმედი აქვთ, რომ ციხეს შიგ საქართველოშივე გასტეხენ და აქ შექმნილი არეულობით ისარგებლებენ, რომ ჩვენი დასუსტებული ძალებით ისარგებლონ!

აი ერთადერთი საფრთხე რომელიც ჩვენ გველის და ამისთვის გვმართებს ძლიერი შინაური ფრონტის შექმნა, რომ ყოველივე ცდა ჩვენი შინაური არევისა, სათავეშივე ჩაეკლათ და განვითარების საშუალება მოუსპოთ.

ყველა ქართველი პოსტზედ უნდა დადგეს და ყველამ ერის სადარაჯოს მიაშურო!

გაერთიანებული ფრონტი შინ, სიმტკიცე და მოთმინება საზღვრებზედ—აი მოწოდება დღევანდელი მომენტისა!

კონტრ-რევოლიუცია გერმანიაში.

ბოლშევიკური ცნობა

(საქ. დეპ. საგ.).

გერმანიის ამბები. ბერლინი, 21 გერმანიის პროფ. კავშირების ც. კომიტეტის ბლენარულ სხდომაზე გადასწყდა, საერთო გაფიცვები შესწყვიტონ და მთელ გერმანიაში დაიწყონ მუშაობა, რადგან ახლად შემდგარმა კოალიციონურმა მთავრობამ მიიღო პროფ. კავშირების მთავარი პირობები. ეს პირობები შემდეგია: მუშათა წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ სოციალ კანონმდებლობაში ნაციონალურ ყრილობის უფლების დაურღვევლად. ყველა არა ლოიალური ჯარი დაიშლება და შეცვლილი იქნება მცხოვრებთა რესპუბლიკანურ წრეებისაგან და განსაკუთრებით შეკავშირებულ მუშათაგან ახლად შემდგარი ნაწილებით. იმ სამრეწველობების სოციალიზაცია, რომლისა სოციალიზაციაც მხარის ეკონომიურ ცხოვრებას არ მიაყენებს ზარალს. იარაღის აყრა და დასჯა იმ პირთა, რომლებიც აჯანყებაში იღებდენ მონაწილეობას. რეაქციონერი პირების სამინისტროსაგან განდევნა.

ებერტის მთავრობის თხოვნა ელჩების საბჭოში.

ლიონი. 20. ელჩების საბჭომ გაანიხილა ებერტის მთავრობის ფორმალური თხოვნა, რომ გერმანიის სამხედრო ძალები არ განიარაღონ, რადგან სპარტაკელების მხრით საშიშროებაა. ებერტის მთავრობა აღნიშნავდა, რომ შესაძლებელია მთელ გერმანიაში ბოლშევიზმის გაძარჯვება, რაც აუცილებლად საფრანგეთზე გავლენას იქონიებს. ინგლისის და იტალიის წარმომადგენლები იმ აზრის იყვნენ, რომ თხოვნა დაეკმაყოფილებიათ, მაგრამ საფრანგეთის წარმომადგენელი წინააღმდეგ იყო. ის ამბობდა თუ გერმანიას უფლება მიეცა იყოლიოს დიდი ჯარი, შაშინ შემქნილი იქნება უფრო მეტი საშიშროება, ვიდრე ბოლშევიკური საშიშროებაო.

შტუტგარტში.

ლიონი, 20. დღეს შტუტგარტში არეულობა იყო. ისმოდა სროლის ხმა, არიან დაჭრილები და დახოცილებიც.

კრიზისი მალე გადავდის.

ბერლინიდან ამცნობენ გაზ. „ტანს„: საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის და ბელგიის წარმომადგენლები ჰარასკევს დღისით ედარბაზენ ვიცე კანცლერ შიფერს., და მათ მიულოცეს მას თავის მთავრობათა სახელით და იმედი გამოსთქვეს, რომ სახელმწიფო გადატრიალებისაგან გამოწვეულმა კრიზისმა მალე გაიაროს.

მილიერანის განცხადება

მილიერანმა „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტს განუცხადა: „ჩვენ გერმანიასთან ეკონომიურ თანამშრომლობის კარებს არ ვხურავთ, მაგრამ ეს თანამშრომლობა დამოკიდებულია ამ შემთხვევაში გერმანიის მიერ საზავო ხელშეკრულების პირობების წინასწარ აღსრულებაზედ.

ფრანგული გაზეთები გერმანიის მდგომარეობაზე.

ფრანგული გაზეთები აღნიშნავენ გერმანიის მდგომარეობის ბუნდოვანობას. პრესა დაინტერესებულია გერმანიის მიერ საზავო ხელშეკრულობის აღსრულებაში. „პტი ჟურნალი სწერს“: კანცლერმა ბაუერმა გამოაჩინა ის საშიშროება, რომელსაც წარმოადგენს კაპისა და ლიუტვიცის სახელმწიფო გადატრიალება. შეიდამანმა საშარცხვინო ბოძზე მიაკრა ის პირები, რომლებიც კულისებს უკან სამხედრო ძალთა კორიფეებს აქეზებდენ. ლიუტვიცი დამარცხდა. მაგრამ საშიშარია შეეშინათ ილიუზიები და ვიფიქროთ, რომ ანტანტისათვის ყოველგვარმა საშიშროებამ გაიარა“. „ეხო დე პარი“: ამოცანა ნათლადა სდგას, შეერთებულმა რადიკალებმა და რევოლიუციონერებმა დაამარცხეს რეაქცია. ეხლა...(ხელს უშლის მეორე სადგური).. სამხედრო რეაქციის წინააღმდეგ., საშიროდ აგიტაცია სერიოზული შეიქმნა. ის სიდიდეა, რომელთაც ყოველ გვარ მუშას შეუძლია შეიარაღება, ბაუერის მთავრობას აჩვენებს იმ იმ გაუფრთხილებლობაზე რომლის გამო საზოგადო მშვიდობიანობის პოლიციისა, მოხალისეთა პოლიციისა და გვარდიის სახით შეიქმნა. მეორე ხარისხოვანი ჯარები რომლის ყოველ ჯარის კაცს თავის სახლში აქვს თოფი და სამხედრო მოწყობილობა. დადგა დრო, როდესაც გერმანიის განიარაღება აუცილებელი შეიქმნა, როგორც შინაურ მშვიდობიანობის აგრეთვე საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის.

მთავრობა და მუშები.

გაზეთები იუწყებიან: გერმანიის მთავრობას მოლაპარაკება ჰქონდა ბერლინში მყოფ მუშათა სინდიკატებთან. შეთანხმების ბირდაპირი შედეგი იქნება შედგენა ახალ კაბინეტისა, რომელშიც ერთი ადგილი მიეცემული ექნება სინდიკატების რწმუნებულს. მოსალოდნელია, რომ პორტფელი შესთავაზონ ლეგიენს, რომელიც შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებს. რურის ოლქში იმარჯვებენ სპარტაკელები, ჯარების მიერ მიულგეიმისა და ესენის ევაკუაცია მუშათა ზეგავლენით მოხდა. საქსონიაში მდგომარეობა გაუმჯობესდა. დრეზდენში მშვიდობიანობაა. ხემნიცსა და ზოგიერთ სხვა ადგილას მუშათა ცენტრები კომუნისტების ხელში იმყოფება. ტიურინგიაში წესრიგი მყარდება. კიელში, სადეზერკაციო ხაზი, რომელიც ევერსის ადმინისტრაციამ დაიკავა ჯარსა და მუშებს შორის, დაარღვია საზღვაო რაგადამ, რამაც ახალი შეტაკებანი გამოიწვია. ამბურგში კვლავ იფეთქა საერთო გაფიცვამ. ყველგანო—ამბობს „პტი პარიზიენი“, მდგომარეობა ან არეულია და ან არა მტკიცეო. ძნელია წინასწარმეტყველება, თუ რამდენ ხანს გასტანს მღელვარების ის პერიოდი, რომელშიაც გერმანია შევიდა.

პროლეტარული მთავრობის შემოღება

გერმანიაში, გერმანელთა შეგრძნებელთა დამარცხება მიჩვენებელია იმისა, რომ გერმანია შეურყეველად მიისწრაფვის პროლეტარული მთავრობის შემოღებისაკენ. ეხლანდელი მთავრობის შეთაური ებერტი, წარმოადგენდა გერმანელ კერენსკის, კარგის მდგომს, მაგრამ სუსტს. გერმანია ეხლა ეძებლობდა ლენინს და ტროიცკის, თუმცა ჯერ ჯერობით გერმანელი ლენინი და ტროიცკი არ არსებობენ. გერმანიის მუშების და მთელი მცხოვრებთა სულიერი განწყობილება აწეულია. სიმშილი, სიცივე და საერთო უწესრიგობა მცხოვრებლებში ყოფილ მთავრობის მიმართ უკმაყოფილებას იწვევს. გადატრიალება რომ მარცხენა მიმდინარეობისაკენ არის მიმართული ნათელია. გერმანიის მუშები საბჭოთა რეჟიმის შემოღებას მოითხოვენ. მემარცხენე პარტიის პროგრამაში შედის მოთხოვნილება, რომ ყველა საზრეწველო ები სიხელმწიფოს გადაეცეს. ყოფილი მთავრობა ბერლინში ბრუნდება. მთავრობის შეთაური ებერტი ბერლინში ბრუნდება. გერმანიის კონტრ-რევოლიუციონერ გამოსვლების მეთაურს გენ. ლიუტვიცს და დ-რ კაპპის კარგი ბედი არ მოელისთ. მთავრობამ მათ და საჭერად საჩუქარიც კი გადასდო. ხმებია, რომ ლიუტვიცმა თავი მოიკლაო, დ-რ კაპპი ლეგიონერებში დაპატიჟრეს.

საერთო მდგომარეობა

თუმცა ბაუერის მთავრობა აცხადებს რომ იგია მდგომარეობის ბატონ-პატრონი, მაგრამ დასავლეთისა და სამხრეთის პროვინციებსა და ბერლინის მიდამოებში არეულობა სუფევს. პარასკევს სალაზოს ლიუტვიცის ჯარებს კიდევ არ ქონდათ დატოვებული ბერლინი. მუშათა სინდიკატები კი და განსაკუთრებით რკინის გზელები უარს ამბობენ, მუშაობის დაწყებაზე შანამ სანამ აჯანყებული ჯარის კაცები სატახტო ქალაქს არ დასტოვებენ. ჰამბურგში... (დამახინჯებულია).. დიუსელდორფი საბჭოთა ხელშია. კაპის მიერ დაწყებულ ანარქიის პერიოდს ჯერ კიდევ არ უჩანს ბოლო.

რეინის ოლქში

გერმანიის სამხედრო მდგომარეობის შესახებ. ინდრის დეპარტამენტის დეპუტატმა პოლ. ბენაზემ შეიარაღების ბინა კომისიაში შეიტანა წინადადება რეინის ოლქში თავდასაცველ სიმაგრეთა აშენების შესახებ. ამ საკითხის შესახებ მოხსენების წარმოდგენა მიენდო გენერალ მოდონის არდენის დეპუტატმა გალუამ აღწერა ის პირობები, რომელშიც იმყოფება ბალტიის მხარე, რომლის ჰირადი შუამდგენლობა ბევრათ უფრო მეტია იმაზე, რაც გერმანიამ აჩვენა.

ჰოგენცოლერნების საკითხი

ჰოგენცოლერნების საკითხი ახალ ფაზაში გაიავიდა. გერმანიის კონტრ-ევოლიუციის გამო ჰოლანდიის მცხოვრებლებმა საკითხს სხვაგვარად დაუწყო ცქერა და მთავრობას აწი მხარს ისე ადარ დაუჭერენ, როგორც ამას იგი წინეთ ელოდა, კორესპონდენტი უმატებს: ამ ცოტა ხანში ჰაიაგში ელიან მოკავშირეთა ახალ ნოტას მოხსენებით, რომ კაიზერი ჰოლანდიაში ადარ დასტოვონ.

ბერლინის მდგომარეობა.

ნიუიორკი. თავდაცვის სამინისტრო ამგვარათ ახასიათებს ბერლინის მდგომარეობას: ალმოსავლეთ გერმანიის კომუნისტების ხელშია. მელენბურგში კომუნისტური მოძრაობაა. შტეტინში ეროვნულმა გვარდიამ მიიღო ბრძანება „კომუნისტების მუდე“ გაანთავისუფლოს. ქალ. ჰალეში საბჭოთა მთავრობა დაარსდა. იუსტიციის მინისტრი შიფერი დღე და ღამე მოლაპარაკებას აწარმოებს დამოუკიდებელ მუშათა ბელადებთან, იგი სცდილობს დაარწმუნოს ისინი, რათა მათ საერთო გაფიცვების შეწყვეტის შესახებ ბრძანება გასცენ. მემარცხენე ელემენტების ბელადებს პირიქით, სურთ ისინი უკანასკნელ ზომამდე (?) მიიყვანონ, რადგან ებერტის მთავრობის სისუსტესა გრძნობენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ებერტს და ბაუერს იმდენივე შანსი აქვთ გამარჯვებაზე, რამდენიც კაპპსა და ლიუტვიცს. მთელი გერმანიის მუშები მოითხოვენ საბჭოთა რეჟიმის შემოღებას, თუმცა ამ სიტყვის თქმას გაურბიან.

ბერლინი. მარტი 19. ყოველ მხრიდან მოსული ხმების გამო, თითქოს დღეს უნდა მომხდარიყო, სპარტაკელების აჯანყება, მთავრობა იძულებული შეიქმნა, განსაკუთრებული გამაფრთხილებელი ზომები მიიღო. ვილჰელმშტრასეზე არტილერია დააყენეს. ბოდს-ომსკის ვოგზალთან ავტომობილიდან, ტუკიისმფრქვეველიდან სროლა ად ფმიზეზოდ ისროლეს. ავტომობილმა დასტოვა დაჭრილები და დახოცილები და გაქანდა.

ებერტმა და მისმა კაბინეტმა გადასწყვიტა, შტუტგარდში დარჩენა, სანამ ბერლინში ცხოვრება ნორმალურ პირობებში არ ჩადგება. მთავრობის განცხადებმა, რომ ბერლინში საგანგებო წესები იქნება გაძლიერებული, დამოუკიდებელთა მხრით ენერგიული პროტესტი გამოიწვია. მთავრობა იძულებული შეიქმნა, დაეთმო. ცნობა მოვიდა, რომ დიდი ზარალის შემდეგ კომუნისტებმა დაიჭირეს ქალაქი ესენი, საიდაც კრუპის ქარხნები. მთავრობის ჯარმა ილსბერგი კომუნისტებს უბრძოლველად ჩააბარა. კომუნისტებმა ხელში ჩაიგდეს აგრეთვე მდ. რუს მიდამოების თვალსაჩინო ნაწილი.

ბერლინი მარტ. 19. სამინისტრო შეუფოთებულია გაერთიანებული სოციალისტების შეკავშირებული მუშების მოთხოვნილებით. შეიარაღებულნი არიან მუშათა იმ მიზნით, რომ მუშაობა კლასს შეძლება ჰქონდეს მზათ იყოს იმ შემთხვევისათვის, თუ რეაქციონერთა სამხედრო პარტიამ კვლავ სცადა გადატრიალება.

ბერლინი. მარ. 20 დამოუკიდებელმა კომუნისტებმა ერთად გამოაქვეყნეს პროკლამაცია, რომლითაც აცხადებენ, რომ საერთო გაფიცვები უნდა გაგრძელდეს. გაფიცვების მოშწყობმა კომიტეტმა განაცხადა, რომ მთავრობის დათმობა საკმარისი არ არისო. მოიხსნა საგანგებო სამხედრო მდგომარეობა, რომლის ძალითაც აკრძალული იყო ქუჩებში გამოსვლა საღამოს 7 საათიდან დილის 5 საათამდე,

ლიონი. მარ. 23. ებერტი ბერლინში ბრუნდება. მან შეიდეგანს დაავალა ახალი კაბინეტის შედგენა.

ამერიკული ცნობები.

არსებობს მტკიცე აზრი, რომ საფრანგეთის მიერ გერმანიისაგან სამხედრო გარანტიების მოთხოვნა არ გატარდება და ევროპის საქმეებში ამერიკის აქტიური თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ. ფრანგული პრესა კიცხავს ვილსონს სენატის მიერ ხელშეკრულების განხილვის განუსაზღვრელ დრომდე გადადებისათვის ჰრესა ფიქრობს, რომ სენატორთა უმეტესობა გაატარებდა სეპარატიულ კავშირს, რომელიც ძალითაც ამერიკა და ინგლისი დაეხმარებოდენ საფრანგეთს იმ შემთხვევაში თუ მას თავს დაესხმოდა გერმანია, მაგრამ ისინი აშკარათ ამბობენ, რომ მათ არ იციან ვილსონი ამას თუ როგორ შეხედავს. ზოგი ფრანგული გავლენიანი წრის აზრით შეიძლება რომ ვილსონმა გადასწყვიტოს ინგლის-საფრანგეთ ამერიკის ხელ-შეკრულობის გადადება პრეზიდენის ახალ არჩევნებამდე და იგი გახადოს ხელშეკრულობის ნაწილი.

გერმანიის სამხედრო მუქარის წინაშე საფრანგეთს არა სურს ერთი წელიწადი უცადოს ვილსონს, მას სურს (ხელს უშლის მეორე სადგური...) შეერთებული შტატებისათვის, რომ ისინი მას გაყვენ ჩინეთის ნაბიჯით და გერმანიასთან სეპარატიული ზავი გამოაცხადონ, ეს მომავალში მოგვიყვანდა მოკავშირეთაგან ამერიკის გამოყოფამდე გერმანიის მილიტარისტების მხარის დაჭერამდე და მთელი წლით ერთალიგის ორგანიზაციისა და ევერსალის ხელ-შეკრულობის შეჩერებამდე. ამის თავიდან ასაშორებლად გაზ. „ეკლერს“ გამოყავს დასკვნა: მოკავშირეებმა ანგარიში არ უნდა გაუწიონ პრეზიდენტს და პირდაპირი დამოკიდებულება უნდა იქონიონ რესპუბლიკის სენატთანო. ეს გაზეთი კრიტიკას უკეთებს ხელშეკრულობის ავტორებს. ფოშის მოთხოვნილებათა უარყოფისათვის და მოითხოვს უფრო მკაცრ სამხედრო გარანტიებს მატენი“ აცხადებს: ამერიკისა და საფრანგეთის გათიშვას ერთი კაცი ვერ შესძლებს. საფრანგეთის იმედოვნებს, რომ საპიროების დროს იგი მიიღებს დახმარებას ამერიკისაგან და თავის მხრივ ამერიკასაც შეუძლია იმედი ქონდეს საფრანგეთიდან მეორე ლაფაიეტის მიღებისა, თუ კი მას იგი დასჭირდება.

დღეს ნოსკემ შე განსაკუთრებული ინტერვიუ მომცა: „რევოლიუცია არ შეიძლება ჩაითვალოს წმიდა სამხედრო მოძრაობათ, რადგან შიგ არმია მონაწილეობას არ იღებდაო. არა ლოიალური ალმოჩნდა საზღვაო ჯარები. სახელმწიფო ჯარები ლოიალურათ დარჩენ წესრიგი აღდგენილია თითქმის ყველგან რეინის ვესტფალისა და რურის ხეობის გარდა. ზოგ ადგილას გაგზავნილმა ჯარებმა ჩქარა ადადგინეს მთავრობის ავტორიტეტი. მრავალმა გაფიცულმა მუშამ იწყნია გაჭირვება და ეხლა ყველას მუშაობის დაწყება სურს. ანარქიული ელემენტები სცდილობენ მუშაობა დარწმუნებას გაფიცვის გაგრძელებაში და არეულობის მოხდენაში, მაგრამ მათი ცდა ჯერ-ჯერობით უნაყოფოთ რჩება. გერმანიაში არ არსებობს ნიადაგი კომუნიზმისთვის. რუსული ბოლშევიზმი არავითარ შემთხვევაში არ არის შეკავშირებული გერმანიის კომუნიზმთან. მარალია, რომ გერმანიის ზოგიერთ ოლქში რევოლიუციის დაწყებიდან საბჭოები არსებობენ, მაგრამ ეს დიდხანს ვერ გასტანს, რადგან იარსებებს დღევანდელი მთავრობა. მთავრობა ითხოვს ვერსალის ხელშეკრულობის ზოგიერთი მუხლის შეცვლას, რომელზედაც მონარქისტები ეყრდნობიან. მაგრამ მთავრობა მაინც განაგრძობს ხელშეკრულობის აღსრულებას, მიუხედავად იმისა, თუ არავითარი ცვლილება არ იქნება შიგ შეტანილი. ეს ყველაზე უფრო უკეთ ამტკიცებს მის ცხოველ მყოფელობას. ჩემის აზრით ფონ კაპპისა და ლიუტვიცის შეთქმულებაში ჩვენ უნდა ვსდევნოთ მხოლოდ მეთაურნი.

უცხოეთი

რუსეთი

მოსკოვი, მარტის 22, ც. ა. კ. ს. ბ. მიუსლეტენი.
(საქ. დეპ. საგ.).

ბოლშევიკების სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. მოზირის რაიონში ჩვენმა ჯარმა დაბა გორვალის დასავლეთით რამდენიმე სოფელი აიღო. მოზირ-რეჩიცას რკ. გზის რაიონში ბრძოლის შემდეგ რამდენიმე სოფელი ავიდეთ. ოვრუჩ-კოროსტენის რაიონში კოროსტენ-სარნენსკის რკ. გზის ხაზზე ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ სწარმოეს. კოროსტენის ჩრდილოეთ-დასავლეთით 60 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. ქალ. ლეტიჩევთან ბრძოლაა.

სამხრეთის ფრონტი. ბოდოლის კომენეცის რაიონში ნიშნაია უშიცის ადმოსავლეთით მტერი წინააღმდეგობას გვიწევს—ბრძოლა გრძელდება. დნესტრზე და შავიზღვის ნაპირებზე სიწყნარეა.

კავკასიის ფრონტი. ნოვოროსიისკის მიმართულებით ჩვენი ჯარი მდ. ყუბანის ქვემო მიმდინარეობაზე გადასვლის შემდეგ სამხრეთისაკენ შეტევას განაგრძობს. ეკატერინოდარის რაიონში ნოვოროსიისკის მიმართ. გზაზე წინსვლა გრძელდება, გამოირკვა, რომ ეკატერინოდართან ჩვენ წამოვიყვანეთ 20000 ტყვე, ხელთ ვიგდეთ 40 ზარბაზანი, 100 მეტი ტყვიისმფრქველი, 200,000 თოფი და 5 მილიონი 600 ათასი პატრონი 100000 ყუმბარა, 4 ჯავშნიანი მატარებელი 8 სანიტ. მატარებელი, 8 ჰაეროპლანი, საერთოთ უკანასკნელ ოპერაციების დროს წამოვიყვანეთ ტყვეთ 2820 ოფიცერი და 66830 ჯარისკაცი. ხელთ ვიგდეთ 175 ზარბაზანი, 340 ტყვიისმფ. ამას გარდა აღნიშნულია 16000 ზე მეტი მტრის გაყინული ჯარისკაცი ნახული სხვადასხვა ადგილას.

თურქესტანის ფრონტი. ლეპისკის მიმართ. ჩვენ მხარეზე 20 კაცი გადმოვიდა, ამათ რიცხვში ოფიცრები იარაღით და ცხენებით.

ადმოსავლეთის ფრონტი. სერგიოპოლის რაიონში სადგ. უჯარასკაიას ჩრდილო-დასავლეთით 30 ვერსზე გამოვედით. ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი, 3 ტყვიისმფ. წამოვიყვანეთ ტყვეები.

საბჭოთა რუსეთი და რუმინეთი.
(საქ. დეპ. საგ.).

მოსკოვიდან მოსული რადიო-დეპეშის ცნობით საბჭოთა მთავრობა უარს აცხადებს რუმინეთთან ვარშავაში მოლაპარაკებაზე და შესახვედრ ადგილათ ასახელებს ხარკოვს.

დახმარება რუსეთის მცხოვრებთ.

უკრაინის შრომის არმიამ დონის ოლქის მუშებს აჩუქა 75000 ჩექმა, 6000 მაზარა 35000 წყვილი ქალამანი და სხვა საჭირო ნივთები, ჩიტაში, მოვიდა ამერიკის წითელი ჯვრის საზოგადოების ორი ექიმი მცხოვრებთა დასახმარებლად, ამერიკელებს სურვილი აქვთ დაეხმარონ რუსის მცხოვრებთ.

ამერიკა

(საქ. დეპ. საგ.)

პერუ და ბოლივია

ბუენოს-აირესიდან იუწყებიან: ლა პაზში პერუს საელჩოსთან მომხდარი მტრული მანიფესტაციის გამო პერუსა და ბოლივის დამოუკიდებლობა შეტევად გამწვავდა. უკანასკნელად მიღებულ ცნობების მიხედვით მოსალოდნელია, რომ ამ ორ მხარეთა შორის ომი დაიწყოს. ბოლივიაში გამოცხადებულია მობილიზაცია და ბოლივიის ჯარები ემზადებიან პერუს დასაკავებლად.

ლიტვა

(საქ. დეპ. საგ.)

ლიტვის გლეხები და ზავი საბჭოთა რუსეთთან

ლიტვის გლეხები მოითხოვენ საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრას. ლიტვის გლეხთა ყრილობამ გადასწყვიტა მთავრობას მოსთხოვოს საბჭოთა რუსეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყება და ბოლონელებთან ვილნოსა და გროდნოს განსათავისუფლებლად ბრძოლის დაწყება. საფრანგეთის საელჩოს მოხელეს ლიტვინოვთან მოლაპარაკების წარმოება დაეკალა.

საფრანგეთი

საფრანგეთ-ბელგიის შეთანხმების კომისია.
(საქ. დეპ. საგ.)

საფრანგეთ-ბელგიის შეთანხმების კომისია შაბათს შეიკრიბა ბურბონთა სასახლეში. დეშანელის მაგივრად თავმჯდომარედ რაულ ბერე ამოირჩიეს. მან განაცხადა: საჭიროა რაც შეიძლება მეტი მჭიდრო კავშირის დამყარება საფრანგეთსა და ბელგიის შორისო“. „დღეს, როგორც ომიანობის დროსო, —სთქვა მან—საფრანგეთი და ბელგია მეტად მჭიდროდ არ იყვნენ შეკავშირებულნი. კარგად უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენ ჩვენი კავშირი უფრო განვამტკიცოთ, განსაკუთრებით დღეს, როდესაც გერმანია ახალი გამოსვლისათვის არის განწყობილი. გუშინდელი მტერი სამუდამოთ უარს არ იტყვის რევანშზე.

საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა.

მილიერანმა დეპუტატთა პალატაში განცხადება გააკეთა საგარეო პოლიტიკის შესახებ. რაც შეეხება გერმანიაში მომხდარ მოვლენებს, მე არა მაქვს ახალი ცნობა,რომ პალატას ვამცნო მთავრობისა და მოკავშირეთა საერთო შოქმედების შესახებ. მე მინდა გითხრათ ორიოდე სიტყვა. მთავრობამ მიიღო და განაგრძობს ყველა ზომების მიღებას, რომელიც დღეს და მომავალში აუცილებელია ჩვენი ინტერესების დასაცავად. შეწდეგ მან პალატას სთხოვა კამათი საგარეო პოლიტიკის შესახებ გადაედოთ იმ მოვლენების გამო, რომლებიც ეხლა სდგება. ბარტუს მოკლე განცხადების შემდეგ კამათი ხუთშაბათისათვის გადადო 403 ხმით 183 ის წინააღმდეგ.

სპარსეთი

ქურთისტანის ამბები

გაზ. „რაად“ სწერს: „შერეფ-ხანიდან მოსული ცნობებით კვალად დაიწყო ქურთების მხრივ მთავრობის სამტრო მოძრაობანი. ქურთ-შეაშმეთეთა რაზმი მთავრობისაგან ხოიში გაგზავნილ ტრანსპორტს დაეცა გაძარცვის მიზნით. მეამბოხეებმა სურსათის დიდი ნაწილი წაიღეს. ქურთების მეთაურის ისმაილ-აღას ძმა, ახმედ-აღა, მივიდა რა სოფ. სილაბს, ბრძანება გასცა, რათა დაეჭრათ ტელეგრაფის მავთულები და ამ სოფელში მოეტანათ წარმეული სურსათი, რომელიც ქალ. ხოესა და მაქუსთვის იყო გადადებული. მთავრობის ჯარებმა ქურთების თავდასხმის შესახებ ცნობების მიღებისთანავე სოფ. სილაბზე დაიწყო შეტევა, სადაც სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ბრძოლის შედეგები ჯერ გამოუტანელია.

შერეფ-ხანიდან არტილერიის ბრიგადის უფროსის მუჰამეკულ მუღკისაგან კიდევ მიღებულია შემდეგი ცნობა. ხანგრძლივ და სასტიკ ბრძოლის შესდეგ მთავრობის ჯარსა და ქურთებს შორის, ქურთებმა დიდი დანაკლისი ი დაიხიეს

დაპატიმრეს ქურთების მეთაურთაგან 4 კაცი. მთავრობის ჯარის ზარალი უშნიშვნელოა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მინისტრთა საბჭოს წარუდგინა მოხსენება ქურთისტანში მომხდარ ამბების შესახებ. მინისტრმა აღნიშნა მთავრობის ჯარის გმირული მოქმედება და მოითხოვა მისი ამუნიციითა და სურსათით უზრუნველყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩუკ-ხანი ინგლისის სამსახურში

ენზელის გზით რეშტიდან ჩამოსულები უარყოფენ ხმებს, თითქოს ქუჩუკ-ხანის რაზმი რეშტს მიდამოებს არბევდეს. პირიქით, ინგლისის მთავრობა შეუთანხმდა ქუჩუკ-ხანს, რათა უკანასკნელი შესულიყო ინგლისის სამსახურში და სრული წესრიგი დაემყარებინა სპარსეთის სამგზავრო გზებზე.

ოსმალეთი

მოკავშირეთა ჯარები კონსტანტინეპოლში

(საქ. დეპ. საგ.)

ფრანგული გაზეთები იტყობინება: 10 მარტს მოკავშირეთა ჯარები შეეიდენ არა კონსტანტინეპოლში, როგორც ეს საზავო ხელშეკრულობით იყო წინდახედული, არამედ დაიპირეს ქალაქის ზოგი ადგილები, სახელდობრ სამხედრო და საზღვაო ს. მინისტროები, ცენტრალური სატელეგრაფო სადგური და სხვ. დაიპირეს რამდენიმე პირი ახალგაზრდა თურქთა პარტიის, მ. თ. შორის ქუჩუკ ჯემალი, ალი რიზას კაბინეტის ყოფილი სამხედრო მინისტრი და ჯემალ-ფაშა გენერალური შტაბის უფროსი.

მოკავშირეებმა ხელში ჩაიგდეს კონსტანტინეპოლი. მოკავშირეთა ჯარმა ინგლისის გენერალ შილნის ხელმძღვანელობით დაიპირა სტამბოლი. უცხოელთა ჯარის გამოცხადებას მცხოვრებნი წყნარათ შეხვდნენ.

გერმანია

ვილს კაიზერის ავადმყოფობა

ჰაიგიდან იუწყებიან, რომ ექს-კაიზერი ფსიქიურად ავადმყოფი შეიქმნა და მანიკალ მდგომარეობაში ჩავარდა.

მისი მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ იგი სასწრაფოდ ინახულეს მემკვიდრე პრინცმა და პრინციონხიმმა.

მასთანვე მოიწვიეს გამოჩენილი ექიმები სულავრ ავადმყოფობისთვის.

საზავო კონფერენცია

საზავო კონფერენცია შეიკრიბება ნაადგომევს იტალიის რივიერის სანრემონში

ᲐᲯᲐᲠᲐ.

(სამხედრო სტატისტიკური ცნობები).

აჯარას უჭირავს 125 კვადრატული მილი (ვერსი). მისი საზღვრებია: ჩრდილოეთით მდ. ჩოლოყი და აჯარის მთები რომლებიც გეფრაისაგან ჰყოფს. აღმოსავლეთით არსიანის მთები, რომელიც ახალციხისაგან და არტაანისაგან ჰყოფს, სამხრეთით მთები: თოფიოლი, რომელიც ოლთისისაგან ჰყოფს. ჩრდილო დასავლეთით 60 ვერსის მანძილზე აჯარას აკრავს შავი ზღვა. მთელს მხარეს მთაგორიანი ადგილები უჭირავს. მთები შიშარითულია ყოველ მხრით, მაგ. ტოტები ერთმანეთშია გადახლართული და მათ შორის არსებობს ბევრი ღრე და ხევები. ყველა მთის ფერდობები შეტად ციცაბოა, ზოგ ადგილზე მარტო ფეხით მგზავრობა შეიძლება. ყველაზე უფრო მაღალი მთა არის კარჩხალი, რომლის სიმაღლე 11,000 ფუტს უდრის. მთების ფერდობები დაფარულია ძველი და გაუვალი ტყეებით, მიდლობები კი მშვენიერი საძოვარი შინდვრებით. მთელი აჯარა, რომელიც შემორტყმულია ზემოთ მოხსენებული მთებით—წარმოადგენს ერთს ვიბერთელ ფრმა ხევს. ეს ხევი ირწყება კარგა მოზრდილი მდ. ჭოროხით და მისი ფრიცხვი ტოტებით. ჭოროხი იღებს სათავეს ბაიბურთის მთიდან, ჯერ ოსმალეთის ტერიტორიაზე მომდინარეობს, და შემდეგ 75 ვერსზე აჯარაში. ჭოროხის კალაპოტი მეტად ვიწროა, ნაპირები მიდლობი კლდოვანი. შავი ზღვის პირად, კახაბერის მინდვრებზე ჭოროხი ფართოდ იშლება. ართვინს ხიდთან ჭოროხის სიგრძე 12 საჟენია, სოფ. ერგთან 30—საჟენი, ზღვის შესართავთან კი 130—საჟენი. სიმაღლე ერთს საჟენს არ აღემატება. ჭოროხზე ორი კარგი ხიდია: ართვინთან ქვის და სოფ. ცრიასთან ხის. მისი სიჩქარე წუთში 8 ფუტს უდრის. მასზე მოგზაურობა მხოლოდ ფართო ძირთან ნავებით შეიძლება. ჭოროხს მარცხნივ ერთვის ბეგლეკანი, იჩხალა, ფურგული და ხათილა; მარჯვნით მდ. აჭარა, რომელიც სათავეს არსიანის მთებიდან იღებს, სიგრძით 70 ვერსია. აჭარის წყალზე 11 ძველებური ხიდია ნაგები. გარდა აჭარის წყლისა ჭოროხს მარჯვნით კიდევ ერთვის მდ. მაჭახელა, იმერხევი და სხვ. ჭოროხი და მის ტოტებს გარდა აჭარაში კიდევ შესანიშნავია ცალკე მდინარეები: აჩხუა, კინტრიშია, ლაგუა, ჩაკის წყალი, ქორონის წყალი და მადუნისა ყველა მდინარეების კალაპოტები მეტად ვიწროა და გაუვალია, მდინარეების აქეთ-იქითა ფერდოები გაუვალი ტყეებით არის დაფარული.

გზები აჭარაში. უნდა გვსთქვათ, რომ აჭარა მეტად ღარიბია გზებით, რაც არის ისიც ყველად უვარგისია. წყლით მოგზავრობა შეიძლება—ზღვით მდინ. ჩოლოქის შესართავიდან სოფ. მაკრთალამდე და ჭოროხზე. საურმე გზები მარტო ითხია, ერთი ბათუმიდან ართვინამდე, მეორე ოზურგეთიდან ბათუმამდე 3—ართვინიდან ახალციხეში, ართვინიდან ართ. დაგანში. პირველ გზას წინეთ დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული მთავრობისაგან და დღემდისაც კარგათ არის შენახული, ამ გზით ავტომობილითაც შეიძლება მოგზაურობა, რაც შეეხება სხვა გზებს მათზე მარტო ქვეითა კაცსა და ჩალვარდრებს შეუძლიათ მოგზავრობა. ოზურგეთ—ბათუმის გზა 50—ვერსია. ახალციხე—ბორის 114 ვერსი.

ართდაგან-აჭარის გზის სიგრძე 190 ვერსია.

საჩალავარდო გზები შემდეგია: დიგურა-ართვინის სიგრძით 100 ვერსი, დიგურა-ხალთის—60 ვერსი.

სათელო-მერეთისა და ხევის 70 ვერსი, იჩხალის 20 ვერსი ბორჩხადან ხოფას ხეობაში.

საცალფეხო ბილიკები ბევრია, მათში შესანიშნავია ჭოროხიდან და არტანუჯიდან ოსმალეთის საზღვრამდის, ბათუმიდან მაკრიალეში, ართვინიდან ოსმალეთის ხეობა შელოში, ართვინიდან თალახეთის სიმაღლებზე, ართვინიდან მარადიდში, ფლაშედან კინტრიშში, სათელადან—ხევაში, იმანწმიდის გადასავალი და ორი ბილიკი ართანუჯიდან ოლთისში.

ყველა ამ ბილიკებზე მოგზაურობა ძალიან ძნელია, მათზე მოგზაურობა მხოლოდ აჭარლებს შეუძლიათ, რომლებიც ბავშობიდან შეჩვეულან. ამ ბილიკების სიგანე ზოგ ადგილას ერთ ადგილზე ნაკლებია, თუ უცხო მგზავრს ფეხი აუცდა, თვალის დახამხამებაში სადღაც უფსკრულში გადაიკარგება და მისი პოვნის იმედიც ნუდარ გაქვთ.

აჭარაში ბატარა რკინის გზის ტოტიც არის—ეს ბათუმიდან ქობულეთამდის. მახინჯაურთან ბატარა გვირაბია. ამ გზის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ, ის ზღვის პირს მისდევს და ზღვიდან მტერს ადვილად შეუძლია მისი დაზიანება.

ეთნოგრაფიული ცნობები.

როგორც ზევით ვთქვეთ მთელი აჭარის მხარე სამი მხრით შემორტყმულია მაღალი და გაუვალი ტყეებით დაფარული მთებით. მხოლოდ ერთი მხრით გასავალია აქვს ზღვისკენ. აჭარა ძველადაც ერთ მიუვალ და მიუსვლელ კუთხედ ითვლებოდა. ეს მხარე ძველი დროიდან დასახლებული იყო ქართველებით. IV საუკუნეში აჭარიმაც, როგორც სხვა საქართველოს კუთხეებმაც ქრისტეს სარწმუნოება მიიღო. ერთბაშად მთელს აჭარაში აშენებული იქნა ეკლესიები. თავდაპირველად ეკლესიებს უბრალო რიყის ქვისაგან აგებდნენ ყოველად უგეგმოდ. ბოლოს, როდესაც საქართველოში ცივილიზაციამ მოიკიდა ფეხი, აჭარაშიდაც იწყეს საუცხოო ეკლესიებისა და მონასტრების შენება, ზოგიერთ მათ ნაშთებს დღეს განცვიფრებაში მოჰყავს მხილველი. როგორც ცივილიზაცია ისე ქრისტიანობა აჭარაში ბიზანტიიდან შემოვიდა. თამარ—მეფის დრო საუკეთესო ხანა იყო აჭარისათვის. ეკლესიები, გზები, ხიდები მაშინდელი აგებულნი დღესაც მოწმობენ, რომ საქართველო და მასთან ერთად აჭარაც ოქროს ხანას განიცდიდნენ. თამარ მეფის სახელი ამოუფხრეელია აჭარლების ხსოვნიდან და დღესაც მის სახელს ლიდს პატივსა სცემენ.

თამარის სიკვდილის შემდეგ საქართველო დაუძლურდა, მისმა მეზობელმა მტრებმა თავიანი წამოჰყვეს და გლეჯა დაუწყეს მას. ხელიდან-ხელში გადადიოდა, ხან ოსმალნი, ხან სპარსნი, ხან ტამერლანი ბატონობდნენ აჭარაში. სპარსეთის ბატონობა აჭარამ 16 საუკუნის ნახევრამდის აღარა, თუმცა ამ ბატონობას მაინც დიდი ადგილი არ დაუსვამს მათთვის.

ამის შემდეგ აჭარის ბედი სხვანაირად დატრიალდა.

მე 14 საუკ. დასაწყისში, წინა აზიაში არსებობდა პატარა სამთავრო ყარაგისარისა. ეს სამთავროო ოასი წლის განმავლობაში ისე გაიზარდა, რომ მისგან შეიქმნა დიდი ოტტომანის სამეფო დაიპირა მთელი ადგილები მდ. დუნაისა და ეფრატს შორის. ამ სამეფოს ფარგლებში მოექცა აჭარაც. სულეიმან დიდის ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა სპარსელები, რომლებიც აჭარას ფლობდნენ და განდევნა ისინი, 1533 წ. საქართველო ოსმალეთს დაუმორჩილა. 1564 წ. ოსმალებმა ზღვის პირათ, ჭოროხის შესართავთან ქალ. ბათუმი ააშენეს, ბათუმის ახლოს ციხე გონია. რამდენადაც სულეიმან დიდი სახელოვანი და განთქმული მეფე იყო, იმდენად მისი მემკვიდრეები უვარგისნი გამოდგენ მაგ. ახმედ I-მა სპარსელებთან ომი წააგო, აჭარის ნაწილი, მდებარე შავშეთის მთების სამხრეთით, სპარსეთს დარჩა და თითონ აჭარა კი 1609 წ. დაიპირა გურიის მთავარმა მამია II.

თუმცა ეს მდგომარეობა ხან-მოკლე გამოდგა. ოსმალეთი ფეხზე წამოდგა. მე-17 საუკ ნახევარში მაშინად 4 დაკარგული ადგილები დაიბრუნა და თავისი უფლებები მთელს საქართველოზე გაავრცელა. ამის შემდეგ აჭარა ოსმალეთის მფლობელობაში დარჩა და თანაც ისლამი გავრცელდა. აჭარლებმა ეკლესიები და მონასტრები მიატოვეს, ზოგი შეჩეთებათ აქციეს და ზოგიც დაანგრიეს და მასალით სახლებს დაუწყეს შენება. ეკლესიათანაც აქა-იქ სკოლებიც გახსნეს და შიგ ყურანისა და ოსმალური ენის სწავლება დაუწყეს.

ოსმალეთის გავლენამ უფრო შავშეთის მთების იქით მოიკიდა ფეხი. იქ ჩქარა შეითვისეს მათი ზნე-ჩვეულება.

ჭოროხის ხეობაში თუმცა ისლამი გავრცელდა, მაგრამ აჭარლებმა, ენა, ზნე-ჩვეულება კი მტკიცედ დაიცვეს. არც ოსმალეთის ადმინისტრაციას იკარებდენ ახლოს და თავისი უფროსები ჰყავდათ. მხარეს ბეგები მართავდენ, თავის სასარგებლოდ მცხოვრებლებისაგან ერთ ბეხუთედს შემოსავლისას იღებდენ. სულთახს არც ხარკსა და არც სხვა რაიმე გადასახადს არ აძლევდენ.

აჭარის ქვეშევრდომობა იმაში გამოხატებოდა, რომ ომიანობის დროს აჭარას საკუთარი მილიცია უნდა გამოეყვანა თავიანთი ბეგების უფროსობით, რომლებიც ოსმალეთის დროშების ქვეშ იბრძოლებდენ. ასეთი დამოკიდებულება აჭარასა და ოსმალეთს შორის სუფეგდა მე-17-ე საუკ. ბოლომდე.

მე-19-ე საუკ. დასაწყისში მთელს აჭარაში ფაქტიურად განმტკიცდა ოსმალეთის ბატონობა. შეიარაღებული ძალების საშველებით და ადგილობრივ ბეგების დახმარებით აჭარაში შემოღებულ იქნა ოსმალური წეს-წყობილება.

თუმცა, მართალია, ზოგიერთი ბეგები ძალიან ერთგულობას იჩენდენ სულთანისადმი, მაგრამ ზოგიერთები კი ზიზღით უყურებდენ მას და სცდილობდენ, როგორმე აჭარა სრულებით ჩამოეშორებინათ ოსმალეთისაგან. ასეთი იყო სხვათა შორის აჭარის მმართველი ჰუსეინ ბეგი. ეს მეტად მოყვარული იყო აჭარისა და საქართველოსი. მისი მიზანი იყო აჭარის განთავისუფლება ოსმალეთის ბატონობიდან, ამისათვის ყოველ ლონის ძიებას ხმაროობდა, ოსმალური წეს-წყობილება მოესპო და ადგილობრივი საკუთარი წესწყობილება შემოეღო. ჰუსეინ ბეგის განზრახვა გამომჟღავნდა, სულთანის კარამდისაც მიელწია. ურჩი ბეგის დასასჯელათ სულთანმა ფაშა ჰყონია გამოგზავნა ჯარით. ჰყონია დიდ ძალი ჯარით შევიდა აჭარაში, სოფ. ქედაში დაბანაკდა და შიშის ზარს სცემდა მთელს აჭარას. ჰუსეინ-ბეგი არ შეშინდა, მოიკრიბა ძალა, უეცრად თავს დაეცა ფაშა ქყონიას, დაამარცხა და აჭარიდან განდევნა.

გაბრაზებულმა სულთანმა, აჭარას ორი მხრიდან მიუსია ჯარი.

ერთი ნაწილი ჯარისა ტრაპეზონიდან წამოვიდა აჭარაში და მეორე ყარსიდან. ტრაპეზონის ფაშა ქეიოღლი 4000 კაცით შეეჭრა აჭაროაში და ყველაფერი აოხრა და ცეცხლს მისცა. ჰუსეინ-ბეგი დაატუსაღეს და სტამბოლს გაგზავნეს. აჭარის მართვა ქეიოღლმა მიიღო.

სასტიკმა და მკაცრმა მართველმა აჭარაში შემოიღო საყოველთაო სამხედრო ბეგარა და ოსმალური მართვა გამგეობა. ოსმალეთის სასტიკმა რეჟიმმა აჭარლები საგონებელში ჩააგდო. ბეგებს მამულები ჩამოართვეს, მათი უპირატესობა და უფლებები შეზღუდეს და გლეხებთან გაასწორეს. ახალი კანონით აჭარის მიწა-წყალი სა ელმწიფოთ ითვლებოდა და მცხოვრებლებზე დაც გაწერილი იქნა თანაბარი გადასახადი. ოსმალეთის მთავრობამ ადგილობრივი ბეგების წარმომადგენლები სტამბოლში გაიწვია, იქ მათ ჩამოართვა მამულების კუთვნილების სიგელები, რომლებიც მათ მიცემული ჰქონდათ საქართველოს მეფეებისაგან. ეს სიგელები თითქოს უნდა გაერჩიათ და შეემოწმებინათ, შემდეგ მათ გამოუცხადეს, რომ თანახმად 1840 წლის კანონს („თენზიმათისა") მამულები მათ ერთმევათ და სახელმწიფოთ ითვლება ჩამორთმეული ადგილების ნაცვლად ბეგებს პენსია დაუნიშნეს. ახალ კანონის „თენზიმათის" შემოღებამ მშვიდობიანათ ჩაიარა აჭარაში.

ასე არ მოხდა შავშეთში. 1844 წ. იქ ამბოხება მოხდა ადგილობრივი ბეგებისა. ამბოხებას სათავეში ჩაუდგა სელიმ-ბეგი. მან შეკრიბა 10,000 მეომარი და შავშეთიდან ფოცხოვში გადავიდა, იქ იქაური ფაშა დაატყვევა. შემდეგ უნდა უკან დაბრუნებულიყო, დაეცემოდა ახალციხეს და ტრაპიზონს, მაგრამ საქმე კარგად ვერ ქონდა გამოწყობილი და ყველაფერი გეგმები ჩაეშალა. სელიმ-ბეგის წინააღმდეგ დამსჯელი რაზმი იქნა გაგზავნილი. სელიმ-ბეგი ცეპტის ციხეში გამაგრდა, ცოტა ხნის შემდეგ დამარცხდა და დამორჩილდა, შემდეგ სტამბოლში გაგზავნა.

შავშეთი დააწყარეს. იქ საყოველთაო სამხედრო ბეგარა და სახელმწიფო გადასახადი შემოიღეს. გადასახადი ყოველად უწესოთ იყო გაწერილი. ხალხს იმდენად სახელმწიფო გადასახადი არ აწუხებდა, როგორც კერძო გადასახადები, რომლებსაც უბრალო ხალხეები აწერდნენ ხალხს და თავისათვის მიქონდათ. გადასახადი გაწერილი იყო აგრედვე როგორც მსხვილ საქონელზე აგრედვე წვრილფეხედაც, მეწვილ ძროხებზე, ფუტკარზე და სხვა. სამხედრო ბეგრის მოხდის გარდა ყველა მოქალაქე ვალდებული იყო წელიწადში 20 დღით სახელმწიფო სამუშაოზე გამოსულიყო.

ხალხში დიდი უკმაყოფილება სუფევდა, ბეგები თუ უბრალო ხალხი ზიზღს თვალით უყურებდნენ ოსმალეთის მთავრობას და ელოდნენ იმ ბედნიერ წუთს, როდის განთავისუფლდებოდნენ ოსმალეთის მონობისაგან. რადგანაც მათსა და გურიის მთავრების შორის ძველი დროიდან ნათესაობა სუფევდა, ამისთვის იქაური ბეგები გურიისაკენ იხედებოდნენ და იქიდან ელოდენ შველას. ასეთივე იმედით ბეგები იყურებოდნენ რუსეთისაკენაც, რომლებიც იმ დროს გაბატონებული იყვნენ საქართველოში

რუს-ოსმალეთის ომის დროს 1828 წელს, ახალციხეში რუსს ჯარის სარდალმა გენერალმა ბებუთოვმა მოლაპარაკება გამართა ჯარის მთავარ-სარდალ ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილთან. ბებუთოვი მას დიდს ჯილდოს ჰპირდებოდა, თუ აჭარას რუსეთს შემოუერთებდა. ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილს ოსმალეთის მთავრობა ეჯავრებოდა, ამისათვის ბებუთოვის წინადადება დიდის სიამოვნებით მიიღო და აღუთქვა მას აჭარა-ქობულეთისა და შავშეთის რუსეთთან შეერთება. რუსის ხელმწიფე ნიკოლოზი დიდი ნასიამოვნევი დარჩა ამ ამბით. საჩუქრად ახმედ-ბეგს უბოძა გენერლის ჩინი და სტანისლავის ლენტი, გარდა ამისა ახმედ-ბეგს რჩებოდა უფლება აჭარის მთავრისა. საჩუქრების მისაღებად ახმედ-ბეგი ახალციხეში იყო დაბარებული, მაგრამ მისი იქ ჩასვლა არ მოხდა, მიზეზი ის იყო რომ გენერალი ბებუთოვი გამოცვლილი იქნა და ახმედ ბეგი არ ენდო მის მოადგილეს. **ავ. ახვლედიანი.**

(დასასრული იქნება)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐᲨᲘ

დელეგაციების გადაგზავნა.

თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებისა, ამავე სამინისტროს მზრუნველობის განყოფილების უფროსის მიერ განკარგულება გაიცა, რათა სოფელ შორაგელის (ერევნის გუბერნია) ლტოლვილები, რიცხვით ორმოცი კაცი გადაყვანილ იქნენ სადგურ სარდარიდან, სადაც ისინი ამ ჟამად თავმოყრილი არიან, საქართველოს რკინის გზით (სადგურ სოლოლაკი) აზერბაიჯანში.

5.775,532 მ. ქ. თბილისის თვითმართველობისათვის.

შინაგან საქმეთა მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა რესპუბლიკის მთავრობის წინაშე. რათა თბილისის ქალაქის გამგეობას მიეცეს სახელმწიფო ხაზინიდან 1919 წელში მილიციის შენახვაზე გაწეული ხარჯების 50 პროცენტის ანგარიშში ქალაქის მიერ ჯერ მიუღებელი თანხა 5.775.532 მ. ნეთი.

საქართველოს პოლიტიკური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიღებული ცნობებით, ტუაფსის და სოჭის ოლქის მცხოვრებთა ყრილობამ დაადგინა: ეთხოვოს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, რათა დანიშნოს შავი ზღვის გუბერნიაში საგანგებო პოლიტიკური წარმომადგენელი საქართველოს ქვეშევრდომთა ინტერესების დასაცავად.

დამფუძნებელ კრების კომისიებში.

განათლების კომისიამ მიიღო და დაამტკიცა განათლების მინისტრის პროექტი ეროვნულ მუზეუმის ხარჯთაღრიცხვისა და შტატებისა. ამ პროექტის მიხედვით სახელმწიფო ხაზინიდან ყოველ წლიურად უნდა გადაიდოს 1.257.300 მან.

— დამფუძნებელ კრების აგრარულ კომისიაში მიწათ-მოქმედების მინისტრმა წარადგინა ორი პროექტი რომლითაც მინისტრი ითხოვს 23,158.025 მანეთს საოესლე მინდვრების გასაფართოებლად და საოესლეგების შესაძენად.

— საკასაციო სამართალ შუამდგომლობს დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის წინაშე, რათა მაზრის უძველესი მონასტრის შესაკეთებლად გადადებულ იქნას სათანადო თანხა, მონასტერი ძალიან დაზიანებულია.

თესლეულობა

მიწათ-მოქმედების სამინისტროში შესდგა კომისია, საიჯარო განყოფილების გამგის ბ-ნ მ. ბიბინეიშვილის თავმჯდომარეობით და ერობათა და მომარაგების სამინისტროს მონაწილეობით.

მთავრობის მიერ ამ საკითხის მოსაგვარებლად თავის დროზე გადადებული იქმნა თუთხმეტი მილიონი მანეთი.

თესლეულობა დაფრიგდება ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებებს.

ფინასთა და ვაჭრობა-მრეწველობის

მინისტრს კ. კანდელაკს, მთავრობამ მიანდო ამ დღეებში გაემგზავროს. საზღვარ გარედ ეკონომიურ მისიის მეთაურად ყველა ევროპიულ სახელმწიფოებთან.

საბაჟო ხონში

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა, რათა ქ. ხონში გაზაფხულს სამი თვით მე-3-ე ხარისხის საბაჟო გაიხსნას.

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ბორის ფონდი

საგურამოს გლეხთა შორის მღ. ალ. კავკასიძის მიერ იქმნა შეგროვილი 1204 მან

„ახალი ნაკადი"

საქ. რევოლუციურ სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირის ორგანო „ახალ ნაკადმა" კვირას მარტის 15-ს გამოცემა განაახლა.

დელეგაციის გამგზავრება

გუშინ სალამოს პარიზში გაემგზავრა საგანგებო დელეგაცია რომელიც შეუერთდა პარიზის დელეგაციას. დელეგაციაში შედიან გენ. ოდიშელიძე და გენ. ერისთავი. მათთან ერთად მიემგზავრება საგარეო საქმეთა მინისტრის მდივანი ვალ. ნაზაროვი.

ბ. ბ. ალშიბაიას, ჯაფარიძის და გვაზავას გამგზავრება

22 მარტს საგანგებო მატარებლით ბაქოს გაემგზავრენ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანში გ. კ. ალშიბაია, სენატის თავმჯდომარის ამხანაგი ი. მ. ჯაფარიძე და დამ. გუძნებელ კრების წევრი გ. ბ. გვაზავა.

სამხ. ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ქართველ მწერალთა მეორე კონფერენცია მოხდება აპრილის 4-ს კონფერენცია გაიხსნება ქართულ კლუბის

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲝ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

მარშალ ფოშის მოხსენება ჯარის შესახებ.

ფრანგული პრესა.

ლონდონიდან იტყობინებიან: პარასკევს, დღისით უმაღლესმა საბჭომ დაიწყო გაცნობა მარშალ ფოშის ახალი მოხსენებისა, რომელიც ოსმალეთის ჯარს ეხება. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ განხილვა შაბათისთვის გადიდო.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲝᲜᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲑᲐ

(საქ. დეპ. საგ.)

თბილისი. მარტის 23. თბილისში დაპატიმრეს კომუნისტების პარტიის სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი. დაპატიმრეს აგრეთვე კომიტეტის მეთაური ოფიცერი რ. მკრტჩიანი. აღმოჩენილია ფრიად საყურადღებო საბუთები.

„ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲧᲐᲜᲬᲔᲑᲘᲡ" ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

პარასკევს 26 მარტს „ქიმერიონში" გაიმართება „ცისფერი ყანწების" დიდი სადამო. პროგრამა ამ სალამოსთვის განსაკუთრებით არის შედგენილი. ბალეტის ნაწილში გამოვა ზოცკაია ქალი ლიდია ჯონსონი, სალონის ტანგოს საუკეთესო ამსრულებელი ფრანგი ქალი ტრუზი და კავალერი ვალტე; ზოწვეულია აგრეთვე სახელგანთქმული ბოშათა ხორო ბ. ფისენკოს მეთაურობით ეს უკანასკნელი ეხლა ჩამოვიდა ბეტროგრადიდან, ქართული ციკვისათვის მოწვეული არიან თავადიანეი ანდრონიკაშვილი, და ნ. ანდრონიკაშვილის ასული და ნინა წერეთელისა, კუსოვი. აგრეთვე ითამაშებენ ლეკები და ოსი პარასტაევი.

პოეტები იმ დღეს გამოვლენ ფიგაროს როლში ლექსებით, იქნება მოხსენება კაბარეს სტილზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲝ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

მდგომარეობა კავკავში.

(სპეციალ კორესპონდენტისაგან)

თერგის ოლქი.

ჩვენი საგანგებო კორესპონდენტი შეეხეგს ცნობებს გვაწვდის კავკავის ამბების შესახებ. ამჟამად მთელ თერგის ოლქში გამეფებულია სრული ანარქია. გამუდმებული შეტაკება სწარმოებს მთელ ოლქში.

კავკავში.

თვით კავკავში ხალხი გახიზნულა და არც ერთი ძალის ხელის უფლება ჯერ არ დამკვიდრებულა. მცხოვრებთა ნაწილი მთებში გახიზნულა უმრავლესობა კი საქართველოს სამხედრო გზით ართის წამოსული დენიკინელთა ლაშქარი მთლად დაშლილა, დარჩენილა 6—8 ათასამდე „კადრის" აფიცრები.

ქალაქში ძალა-უფლება მთიელთა მთავრობის ხელში გადავიდა, მარტის 19 ს და 20 ს ქალაქის ახვა და სხვა ნაწილებში ისმოდა ცხარე სროლა, რა დროსაც ქურდებმა და მაროდიორებმა ქალაქის გაძარცვა და სახაზინო ქონების გატაცება დაიწყეს.

მარტის 19-ს სადგურზე ორი ვაგონი ფქვილი მოიპარეს.

სამხედრო გზაზედ კავკავიდან ვიდრე ყაზბეგამდე ყაჩაღების თარეშია.

დენიკინის გაქცევა.

თვით გენ. დენიკინი, როგორც ამბობენ გაქცეულა იალტაში.

ბოლშევიკები.

გავრცელებული ხმები ბოლშევიზმის საფრთხისა უსათუოთ გადაჭარბებულია; ისინი არამც თუ კავკავშიც არ მოსულან ჯერ, არამედ იმ ადგილებშიც, რომელთა აღებას იტყობინება მოსკოვის რადიო, მეტად მცირეოდენ ძალას წარმოადგენენ; ბოლშევიკებათ გუნისხმობენ ადგილობრივ ელემენტებს, განსაკუთრებით ინგუშებს, რომელნიც ანარქიას მოუცავს.

ლტოლვილი.

კავკავიდან გამოქცეული ლტოლვილნი დაგროვილნი არიან სადგურებლარსა და ყაზბეგ შუა და მოემგზავრებიან ნაწილ ნაწილ თბილისისაკენ წინასწარ ჩხრეკის შემდეგ.

ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲨᲘ.

მთელი რეგისტრაცია კავკავილ ლტოლვილებისა სწარმოებს მცხეთაში, სადაც ლტოლვილნი არიან თავმოყრილი თბილისისკენ მოუშვებენ მხოლოდ აქაური მცხოვრებთ დანარჩენებს ბათომის გზით ისტუ რებენ ბორჯომ სურამისკენ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ.

თბილისში გუშინ ბევრი ლტოლვილი ჩამოვიდა.

საფრანგეთის მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან.

ფრანგულ საელჩოს მოხელეს კოპენგაგენში მიეცნდო ლიტვინოვსთან მოლაპარაკების გამართვა.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲙᲐᲚᲐᲗᲐ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲑᲣᲚᲔᲢᲔᲜᲘ.

ქ. თბილისი, 23 მარტი 1920 წ.

ᲙᲣᲠᲡᲘ

სტერლინგი:	
ა) ბანკნოტი	980 მ.
ბ) ჩეკი	920 „
ფრანკი ფრანგული ქალ.	23 „
ჩეკი	18 „
ლირა იტალიური ქალ.	16—50
ჩეკი	16 „
ლირა ოსმალური:	
ა) ოქროს	1450 „
ბ) ქაღალდის	245 „
ჩეკი	238 „
მარკა გერმანული ქალ.	450 „
დოლარი	300 „
ჩეკი	270 „
მანეთი ყოფილ რუსეთის იმპერიისა:	
ოქრო 10 მან.	1750 „
ა) ქაღ ასი მანეთიანი	300 „
ბ) ქაღ. ხუთასი მანეთ.	1500 „

ᲐᲯᲐᲠᲐ.

(სამხედრო სტატისტიკური ცნობები).

აჭარას უჭირავს 125 კვადრატული მილი (ვერსი). მისი საზღვრებია: ჩრდილოეთით მდ. ჩოლოყი და აჭარის მთები რომლებიც გეფრაისაგან ჰყოფს. აღმოსავლეთით არსიანის მთები, რომელიც ოლთისისაგან ჰყოფს. ჩრდილო დასავლეთით 60 ვერსის მანძილზე აჭარას აკრავს შავი ზღვა. მთელს მხარეს მთაგორიანი ადგილები უჭირავს. მთები შიშარითულია ყოველ მხრით, მაგ. ტოტები ერთმანეთშია გადახლართული და მათ შორის არსებობს ბევრი ღრე და ხევები. ყველა მთის ფერდობები შეტად ციცაბოა, ზოგ ადგილზე მარტო ფეხით მგზავრობა შეიძლება. ყველაზე უფრო მაღალი მთა არის კარჩხალი, რომლის სიმაღლე 11,000 ფუტს უდრის. მთების ფერდობები დაფარულია ძველი და გაუვალი ტყეებით, მიდლობები კი მშვენიერი საძოვარი შინდვრებით. მთელი აჭარა, რომელიც შემორტყმულია ზემოთ მოხსენებული მთებით—წარმოადგენს ერთს ვიბერთელ ფრმა ხევს. ეს ხევი ირწყება კარგა მოზრდილი მდ. ჭოროხით და მისი ფრიცხვი ტოტებით. ჭოროხი იღებს სათავეს ბაიბურთის მთიდან, ჯერ ოსმალეთის ტერიტორიაზე მომდინარეობს, და შემდეგ 75 ვერსზე აჭარაში. ჭოროხის კალაპოტი მეტად ვიწროა, ნაპირები მიდლობი კლდოვანი. შავი ზღვის პირად, კახაბერის მინდვრებზე ჭოროხი ფართოდ იშლება. ართვინს ხიდთან ჭოროხის სიგრძე 12 საჟენია, სოფ. ერგთან 30—საჟენი, ზღვის შესართავთან კი 130—საჟენი. სიმაღლე ერთს საჟენს არ აღემატება. ჭოროხზე ორი კარგი ხიდია: ართვინთან ქვის და სოფ. ცრიასთან ხის. მისი სიჩქარე წუთში 8 ფუტს უდრის. მასზე მოგზაურობა მხოლოდ ფართო ძირთან ნავებით შეიძლება. ჭოროხს მარცხნივ ერთვის ბეგლეკანი, იჩხალა, ფურგული და ხათილა; მარჯვნით მდ. აჭარა, რომელიც სათავეს არსიანის მთებიდან იღებს, სიგრძით 70 ვერსია. აჭარის წყალზე 11 ძველებური ხიდია ნაგები. გარდა აჭარის წყლისა ჭოროხს მარჯვნით კიდევ ერთვის მდ. მაჭახელა, იმერხევი და სხვ. ჭოროხი და მის ტოტებს გარდა აჭარაში კიდევ შესანიშნავია ცალკე მდინარეები: აჩხუა, კინტრიშია, ლაგუა, ჩაკის წყალი, ქორონის წყალი და მადუნისა

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲝ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲨᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზში.

ყრილობის წესრიგია: ა) მოხსენება საბჭოს მოღვაწეობის შესახებ. ბ) საბჭოს ანგარიშები გ) წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა, დ) მიმდინარე საკითხები ე) საბჭოს წევრთა არჩევნები.

მიშელ დ'არიალი

(მიხეილ ნანობაშვილი) მარტის 26-ს გამოვა „ვერტერ"-ში.

ბეტვის საღამო

ოთხშაბათს, მარტის 24-ს ზუბალაშვილების სახლში იმართება „ბეტვის საღამო" გერმანულ ენაზე გერმანულ მუსიკალურ-დრამატიულ წრის მიერ.

„შვილდოსანი"

მოკლე ხანში გამოვა „შვილდოსანის" მორიგი № 4.

ახალი წიგნები.

გამოვიდა და იყიდება საკუთარ წიგნის მაღაზიაში (რუსთაველის ქ. № 9, სასტუმრო „ორიანტის" ქვეშ) წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემანი:

1. დ. კლდიაშვილის მოთხრობების I ტომი.
2. აბდულ-მესიანი—ი. შავთელის.
3. კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაზიკა— გ. წერეთლის მოთხრობა.
4. პირველი ნაბიჯი—რომანი მისივე.

ჩრდილო-კავკასია

მდგომარეობა თერგის ოლქში.

გაზ. „ვოლ. გორ." შემდეგ ცნობებს გადმოგვცემს:

მარტის 5—6-ს პიატიგორსკიმ ოლქ მარული დღეები განიცადა. დაიწყო ამბოხება. შეამბოხეებმა სადგური დაიჭირეს და ოფიცრებს იარაღი ჩამოერთვა. ერთმა ოფიცერთაგანმა ამბოხების შესახებ ცნობა გადასცა კასლოვოდსკში ყაზახთან. ყაზახთა საჩქაროდ გაჩდა ქალაქში და მეამბოხენი დაამარცხა.

ბრძოლის დროს 2 გენერალი და 2 ოფიცერი მოჰკლეს.

შეამბოხეებმა მოქალაქეთ განუცხადეს, რომ ჩვენ არ თეთრები და არ წითლები არა ვართ, რომ მათთვის დენიკინის რეჟიმი აუტანელია.

პიატიგორსკისა და ეკატერინოდარს შორის მიმოსვლა შეწყდა. ბოლშევიკებმა პროხლადნაია აიღეს. ოსეთში შინაური ბრძოლაა და ანარქია.

გენ. ერდელის მატარებლის დამსხვრევა.

მატარებელი, რომლითაც გენ. ერდელი მიემგზავრებოდა კავკაზში სადგ. ბესლანთან დაიმსხვრა 100 კაცამდე დაშავდა. კატასტროფის მიზეზი ხიდის აფეთქებაა.

ბორის ძვრის გამო

გადმოცემა ამბობს, ღმერთი და ანგელოზი ჰყოფდენ წყალს ხმელეთისაგან და ვერ ახერხებდენ. ბოროტმა სამალმა ურჩიათ, ღმერთმა დაუბეროს ნესტეთ და თვითონვე გამოიყოფებიანო. დაუბერა გამოიყო.

მერე ბოროტი გველეშაპი წაეჩხუბაო ღმერთს. ამან მიყაში მოუგერიაო კისერში გველეშაპმა იწყოო ხეთქება და მის ხეთქება-წყვეტებისაგან საქართველოში ზოგან აიმართაო დიდ-ზვრილი მთები და ზოგან გაჩნდაო უფსკრულები.

გადმოცემაც ჩვენი ხალხისა ამბობს, ცა ასარქლიაო დედამიწას, ხოლო ეს კი უკვდავაო უშველებელ ტანის ვეშაპს, რომლის ძვრა იწვევსო თვით მიწის-ძვრასაც. საყურადღებოა, რომ ასეთი გადმოცემა გავრცელებული ყოფილა ჯერ ისევ წმ. ნინოს დროს. მისს ცხოვრებაში (შად. ქრ. 38) ეკითხულობთ:

„ოდეს შეიძრის ვეშაპი იგი დიდი, შეიძრის ყოველი ქვეყანაი ვიდრეშდის დაირღვიან მთანი შეარნი და კლდენი."

იმას ადარ კითხულობენ, თუ მიწა დაყრდნობილია ვეშაპზე, მაშ თვით ვეშაპი რაღაზეა დამაგრებული, ან ის წყალი, რომელშიაც ის ბუმბერაზი ვეშაპია, რას უკავია?

სამწუხაროა, თუ ესეთ გულუბრყვილოთა დროინდელ თქმულებას დღესაც სადმე ჩვენში აქვს რაიმე ფასი, თუ დღესაც ეგენ ზოგმა ჩვენში არიცხს, რომ მიწის-ძვრა ბუნების მოვლენაა, რომ ეს ბუმბერაზული რხევა-რყევა-რწევა-ქანაობა ხდებოდა უხსოვარ დროითგან, და ხდებოდა და ხდება არა მარტო ჩვენში, არამედ ყველგან, თვით ზღვა-ოკეანეთა უფსკრულებშიაც კი.

გიორგი მთაწმინდელის (+ 1065 წ.)

ყველა ოლქები ცალ-ცალკე პროპორციონალურად მის შემადგენელ მრავლობა რაოდენობის მიხედვით, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და თანამდებობისა. მხოლოდ ასეთი საეკლესიო კრება არის უზენაესი წყარო საეკლესიო კანონმდებლობისა და მართვა-გამგეობისათვის, რომლის დროსაც იგი ხელმძღვანელობს საღმრთო წერილით, მსოფლიო და ადგილობრივ (მათ შორის საქართველოს ეკლესიის, კრებათა დადგენილებით და რესპუბლიკაში მოქმედ კანონმდებლობით.

შენიშვნა: თუ რამდენი დელეგატი ერგება თვითეულ ოლქს გამოარკვევს დიდი საბჭო.

§ 2. საეკლესიო კრებას თავმჯდომარეობს კათალიკოზი, ხოლო როცა იგი არ არის მისი მოსაყდრე და, თუ მოსაყდრეც არ არის, ერთ-ერთ მღვდელ-მთავარი კრების არჩევით. კრებაევ ირჩევს პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებს.

§ 3. საეკლესიო კრება არის ჩვეულებრივი ხუთ (5) წელიწადში ერთხელ და არა ჩვეულებრივი, როგორც საჭიროება მოითხოვს. ჩვეულებრივ კრებას იწვევს კათალიკოზი, ხოლო არა ჩვეულებრივს ან კათალიკოზი საეპარქიო საბჭოების უმრავლესობის თანხმობით ან დიდი საბჭო დამოუკიდებლად.

§ 4. საეკლესიო კრება კანონიერია, თუ ნამდვილ წევრთა ნახევარი გამოცხადდა. თუ პირველი კრება არ შესდგა, მაშინ მეორე კრება, რომელიც უნდა შეიკრიბოს არა უადრეს ერთი თვისა, კანონიერად ჩაითვლება თუ ერთი მესამედი მაინც გამოცხადდა; თუ მეორედაც არ შესდგა, მაშინ გადაიდება 2 თვით და კანონიერი იქნება რამდენიც უნდა გამოცხადდეს.

შენიშვნა: ჩვეულებრივი საეკლესიო კრება ჰოიწვევა მარიამობისთვის მეორე კვირაზე. არა ჩვეულებრივი კრებაც სასურველია ამ დროისათვის იქნეს მოწვეული.

§ 5. საქართველოს საეკლესიო კრების კომპეტენცია არის შემდეგი:

ა) ადგილობრივი საეკლესიო კანონმდებლობა.

ბ) უზენაესი საეკლესიო სამართალი;

გ) ღვთის მსახურების მოწესრიგება;

დ) გარჩევა და გადაწყვეტა იმ საქმეებისა და კანონ-პროექტებისა, რომლებსაც მის წარუდგენენ: დიდი საბჭო, უხუცესთა კრებული, კათოლიკოზი და საეპარქიო, საოლქო და სამრევლო საბჭოები. (კრების წევრთა საკანონმდებლო ინიციატივა იგულისხმება).

ე) არჩევა კათალიკოზისა, განსაზღვრა მისი უფლება-მოვალეობისა და მისი გადაყენება;

ვ) ეპარქიების მიხედვით პროპორციონალურად არჩევა დიდ საბჭოისა, რომელიც შესდგება 30 წევრისაგან; კრებავე ირჩევს მათ 10 კანდიდატს;

შენიშვნა: 1. დიდი საბჭო თვით შეიმუშავებს თავის სხდომათა რეგლამენტს.

შენიშვნა: 2. დიდ საბჭოს წევრნი მუდმივად თბილისში უნდა იმყოფებოდნენ.

შენიშვნა: 3 დიდ საბჭოს წევრად შეიძლება არჩევა არა დელეგატებისაგანაც.

ზ) საკონსტიტუციო კანონმდებლობა;

შენიშვნა: საკონსტიტუციო მუხლის შეცვლა ან დამატება ან გამოკლება შეუძლია მხოლოდ საეკლესიო კრებას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც თვით კონსტიტუციაშია ნაჩვენები.

დიდი საბჭო.

§ 6. დიდ საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს კათოლიკოზი, ხოლო მის ამხანაგს და პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებს ირჩევს დიდი საბჭო. მისი კომპეტენცია არის:

ა) ყოველგვარი სადმინისტრაციო, საგანმანათლებლო და სამეურნეო-საფინანსო კანონმდებლობა:

ბ) საეკლესიო ბიუჯეტისა და მართვა-გამგეობის ორგანოთა შტატების დამტკიცება:

გ) განხილვა იმ კანონპროექტებისა, რომლებსაც მას წარმოუდგენენ: უხუცესთა კრებული, საეპარქიო, საოლქო და სამრევლო საბჭოები და აგრეთვე მორწმუნე პირები:

შენიშვნა: თუ მორწმუნე—მოქალაქის პროექტის შინაარსი საეკლესიო კრების კომპეტენციისაა, მაშინ დიდი საბჭო ვალდებულია წარუდგინოს იგი საეკლესიო კრებას თავისი დასკვნითურთ.

დ) დიდი საბჭო ირჩევს იმ პირს, რომელიც ადგენს უხუცესთა კრებულს და, რომელიც თავისი სამოქმედო გეგმით (დეკლარაციით) მასვე წარუდგება წლობის მისალგბად.

შენიშვნა 1. ეკლესიის ცენტრალურ ორგანოთა დაწესებულებებში არ შეუძლია სასყიდლიანი თანამდებობის დაჭერა დიდ საბჭოს წევრს, გარდა მღვდელმსახურებისა და მასწავლებლობისა

ურიცხვი სული მოსწყდა, და ყოველად საუდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაურღეველი. იქმნა გლოვა და ტირილი ფხომო.

1721 წ 16 აპრ.: ზოგი ადგილები თავრეზისა დაიქცა ძლიერის ძვრისაგან.

1742 წ. აგვისტო. (ქ. ცხ. 2—353:) შეიქმნა ძვრა საშინელი, რომ 40 დღე და ღამე ქვეყანა ირყეოდა. დიდი საშინელება შეიქნა, ქვეყანა რყევისაგან არღარ დადგა, ციხეთა ალავერდის საყდარი დაიქცა, ლალისყურის და ახმეტის ციხენი ორივ დაიქცა, იალბუზის (კავკასიონის) მთები ბევრს ალაგს გარღმოიქცა და ბრავალი სული მსახლობელი ქაცი ქვეშ მოიტანა. ქართლშიაც ბრავალი შენობა დაიქცა. ქორონიკონი ეუბდა ულ, თვე იყო აგვისტო.

1822 წ აგვისტოს 18-ს ღამის 10 საათს იქმნა ფრიადი ძვრაი სირიის მხარეს: ალაბის ქალაქი სრულიად შეიმუსრა და ეგრეთვე გარეშოს მისსა 9 სხვა ქალაქი და ყასიბინი. ბრავალნი სულნი მოსწყდა (მისალ. ხაქ. ისტორ. 163).

აქ ვათავებ ჩემს განხილვას. შემახსენის 1902 წლ. და მის შემდეგ ჯავახეთის მიწის ძვრას ადარ ვიხსენებ, როგორც მახლობელ დროის მოვლენებს. ხოლო ერთი ეს არის ალსანიშნავი. ქ. ცხოვრებას დაეფხსოვნია მხოლოდ ამერეთში მომხდარი მიწის ძვრები, რომელიც იმერეთში არ გავრცელებულა. აქედან ის არ უნდა დავასკვნათ, რომ ამერეთის მიწის ძვრებზე უნდა გაგლენა ჰქონდეს იმ აწ ჩამქრალ ცეცხლს. შფრქვევ ბაქოს ბორცვს, საცა ჯერ ისევ ორმუხლმა ხლაბრულ გოსტაზამ ყანის დროს დარგა „საცეცხლე ხე" და გამოაცხადა, ყოველი ჯულელი ეთაყვანოსო მას? და არ მოგვიყვანია ის დრო, როდისაც ჩამქრალი აფშერონი ისევ ამოძრავდება და აწ ყებს ძველებურ სიმძაფრით ცეცხლის ფრქვევას?

მ. ჯანაშვილი.

წერილი ბორიდან

გაზეთ „საქართველოს" № 54 მოთავსებული იყო ცნობად, რომ გულდაწყვეტილი გორის მცხოვრებნი, მთავრობას, სთხოვენ სანიტარულ გადასახადიდან შემდგარი სამი მილიონი მანეთი მოხმარდეს გიმნაზიების შეკეთებასო; მათ სურთ მოსახლეობა დარჩეს გორში და არ დაიქსაქსოს. ასეთი გულშემატკივარნი დიდი მადლობის ღირსნი არიან. მაგრამ იციან თუ არა მათ რომ ის სამი მილიონი და მასთან სხაც გაქრა, საბნის ბუშტივით?

ქალაქი პირველ დღეებში სრულ უპატრონობას განიცდიდა ქალაქის მამათაგან. ჯეროვანი გულშემატკივრობა ვერ გამოიჩინეს ამათ წინაშე ვინც ისე სასოებით შესცქეროდა მათ. იმ დროს როცა ერობის წარმომადგენელნი ბ. კლიმიაშვილი, ეგნატიშვილი მელიქიძე და სხვანი გაფაციცებით დარბოდნენ და ათვალიერებდნენ განაპირა უბნებში შეშინებულ მშიერთ და უპატრონო ძალევდნენ დახმარებას, ჰპირდებოდნენ ყოველგვარი დახმარების აღმოჩენას; ქალაქის მამანი ეძებდნენ უმიშარ ადგილებს და აფარებდნენ თავს სამი დღის განმავლობაში ვერ შეხვდებოდით მათ და თუ ნახავდით ეტლით მიმაყალს სადგურისაკენ სადაც თავი მოეყარათ თბილისიდან ჩამოსულთ.

მათი ადგილი დაიჭირეს სრულიად მოულოდნელად სამხედრო პირებმა ვენ. წულუკიძემ, ანთაძემ კაპიტანმა ფარეშიშვილმა. გენერლის ბძანებით ქალაქს იცავდნენ ჯარის კაცები; მისი რჩევით იმ დამესვე ბევრმა დასტოვა სადგომი სახლები და გაეშურნენ ფართო ადგილებისაკენ. პირად დახმარებას უწევდა მთელი დღის განმავლობაში, ვისაც კი ესაჭიროებოდა ასეთი დაურიგეს კარვები და სურსათი თავიანთი საწყობებიდან, მათი მეთოხეებით ჯარის კაცები შეედვნენ ქალაქს, სტრიდნენ ნანგრევებში მოყოლილ უპატრონო მსხვერპლებს. იმ დროს როცა მიწა ისევ განაგრძობდა რყევას და ნგრევას ისინი მხედრული თავდადებით შერბოდნენ შენობებში მსხვერპლების დასახნელად და გამოჰყავდათ ცოცხალ მკვდრები. ერთს მათგანს, როცა ის შევარდა ერთი ოჯახში ავადმყოფის გამოსაყვანად, მიწა განაგრძობდა ოყევას, მოხვდა ქვა, მაგრამ ღრმა კვალი არ დაჩნია თავგანწირულ კაპ.

ფარეშიშვილს. ერთი ფუთი არ ყოფილა ქალაქი მათ მიერ მიტოვებული. ასეთი გმირული თავგანწირვა სჭირდებოდა იმ დროს ქალაქს სამწუხაროდ კი მათი რიცხვი ძალიან მცირე აღმოჩნდა.

წერილი ზემო-სვანეთიდან

დღეს ზემო-სვანეთში დიდი გაჭირვება სუფევს: შიმშილი, ავადმყოფობა, უწამლობა, უექიმობა და ამასთან ხშირი მკვლელობა. ძმა-ძმას ალარ ჰზოგავს. ეძებენ და უგონებენ ერთმანეთს საუკუნობით მომხდარ საქმეებს. ადმინისტრაცია, კომისარის სახით, უილაჯოა, ვერაფერს აკეთებს და მეტი ნაწილი სამსახურისა ის იმყოფება ჭუთაისში, თუმცა ჯამგირს იღებს.

სვანეთი ამ ქ მიდ ცუდ მდგომარეობაშია და ოხოულობს დახმარებას პირველად ყოველისა ზემო-სვანეთის მდგომარეობა მოითხოვს გზების გაყვანას, რომელიც უნდა მოხდეს და დაუყოვნებლივ შეძლებისადაგვარად.

უგზოობით სვანეთი იხრჩობა. უმისოთ იქ ვერ მოიკიდებს ფეხს ვერ განათლება, ვერც წესიერება და რაიმე სხვა კარგი და ხალხი მუდამ გაჭირვებაში იქნება.

6—8 თვე ის სრულიად მოწყვეტილია ქვეყანას და არც აქვს საშუალება იაროს სადმე სხვა ქვეყნებში რამდენი გაჭირვება უნდა გადიტანოს სვანმა რომ ჩავიდეს ქუთაისში და იქიდან რაღაც ორი-სამი ფუთი მარილი წამოიღოს.

ამ სიძვირეში საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციოს განათლებას სამინისტრომ სვანების მოწყალეობას, რომელთაც არ აქვთ საშუალება, მილონ სურსათი და ანუ რაიმე დახმარება ოჯახიდან უგზოობისა და სიღარიბის გამო.

საშუალება ეს ვერ ხდება. და როდემდის უნდა იყოს სვანეთი ასეთ მდგომარეობაში, ღმერთმა უწყის!

ნ. მულახელი.

რედაქტორი
„სარედაქციო კოლეგია"
გამომცემელი თბ. ვაკ.-მრ. კომიტეტი

შენიშვნა 2: საკათოლიკოზო კანდიდატისათვის უცოლობა საგალდებულო არ არის; ფიზიკურისა და ზნეობრივის მხრივ იგი უნდა აკმაყოფილებდეს საეკლესიო კანონთა მოთხოვნილებებს და უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი საზოგადო განათლება და შესაფერისი საღვთისმეტყველო მოამზადება.

§ 16. კათოლიკოზი სრულიად დამოუკიდებლად მოქმედობს საერწმუნოებრივ ზნეობრივ საკითხებში და განთავისუფლებულია ეკლესიის საადმინისტრაციო, საგანმანათლებლო და სამეურნეო-საფინანსო საქმეებისაგან.

§ 17. კათოლიკოზს უფლება აქვს მიწერ-მოწერა იქონიოს სხვა ავტოკეფალურ ეკლესიასთან და რესპუბლიკის უმაღლეს დაწესებულებებთან, თანახმად მე-16 §-ისა.

§ 18. კათოლიკოზი თავმჯდომარეობს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას, დიდ საბჭოს და საკათოლიკოზო სასამართლოს.

შენიშვნა: როცა კათოლიკოზი თბილისში არ იმყოფება და არც მოსაყდრეა გამოწვეული, მაშინ თავმჯდომარეობს მისი ქორ-ეპისკოპოზი.

§ 19. იგი მწყემსთმოძღვრულად მიმოიხილავს საკათოლიკოზო ეპარქიებს და ალასრულებს თავის ეპარქიებში იმ მოვალეობას, რომლებიც მიკუთვნებული აქვს ყოველ მმართველ მღვდელმთავარს.

§ 20. კათოლიკოზი აძლევს დროებითს თავისუფლებას: ეპისკოპოზებს და საკათოლიკოზო სასამართლოს წევრებს არა უმეტეს ერთი თვისა—წელიწადში; ხოლო კათოლიკოზის საეპარქიო სასამართლოს წევრებს აძლევს თავისუფლებას არა უმეტეს 2 თვისა წელიწადში, კათოლიკოზის ქორ-ეპისკოპოზი რომელიც არის ამ უკანასკნელის თავმჯდომარე.

§ 21. კათოლიკოზი აძლევს დათხოვნითს სიგელებს იმ ეპისკოპოზებს, რომლებიც თავის ეპარქიიდან დროებით სხვა ეპარქიაში მიდიან.

§ 22. კათოლიკოზი იღებს საჩივრებს, რომლებიც შედიან მხოლოდ საკათოლიკოზო სასამართლოს კომპეტენციაში, და აძლევს კანონიერ მსვლელობას.

§ 23. კათოლიკოზის სახელს იხსენიებენ წირვა-ლოცვის დროს საკათოლიკოზოს მღვდელ-მთავარნი და სამღვდელოება.

(დასასრული იქნება)

შენიშვნა 1. უხუცესთა არჩევა შეიძლება არა დეპუტატებისაგანაც.

ბ) არჩევა საეკლესიო კონტროლიორისა, რომელიც არის უმაღლესი თვალყურის მგებელი მთელი საეკლესიო ქონებისა და შეურნეობა-ფინანსების წარმოებისა.

შენიშვნა: საეკლესიო კონტროლიორი უნდა სწარმოებდეს რესპუბლიკის საკონტროლო დეპარტამენტის თანახმად.

ვ) განმარტება იმ უფლება-მოვალეობისა, რომლისა გამო, შესაძლებელია მოხდეს გაუგებრობა კათოლიკოზსა და უხუცესთა შორის.

შენიშვნა: დიდ საბჭოს განმარტების თანახმად საქმე სისრულეში მოდის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კათოლიკოზი პრინციპიალურად მიუღებლად სცნობს საეკლესიო ძალისთვად კანონების მიხედვით ამნაირ გადაწყვეტილებას—მაშინ შეუძლია საკითხის პრინციპიალურად გარკვევისათვის, ამ საქმის გადატანა საეკლესიო კრებაზე.

ზ) განმარტება საეკლესიო კრების შიერ მიღებულ კანონებისა;

ც) დიდ საბჭოს ევალება შეჰქმნას მტკიცე ეკლესიური ორგანიზაცია, მოლიანი ეკონომიურად და ფინანსიურად;

თ) დიდ საბჭოს ევალება, შემდგომ ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევებისა, შეიმუშავოს სისტემა პროგრესიულ გადასახადისა (ნატურით თუ ფულით) ეკლესიის მუდმივ წყაროსა და ბიუჯეტის შესაქმნელად;

ი) დიდ საბჭოს ევალება მოსპოს არსებული ვაჭრული დამოკიდებულება კრებულსა და მრევლს შორის და, ძის მაგიერ, შეჰქმნას ახალი, საერწმუნოებრივ სათუთ გრძნობისათვის მისაღები დამოკიდებულება.

§ 7. დიდ საბჭოს შეუძლია, საჭიროების მიხედვით, გამოიწვიოს თავის სხდომებზე, გადამწყვეტის ხმით, დასასწრებლად მმართველი მღვდელმთავრები; სამსახურს გარეშე მყოფნი მღვდელმთავარნიც შეიძლება გამოწვეულ იქნან, მხოლოდ სათათბირო ხმით.

§ 8. დიდ საბჭოს უფლება აქვს უკმაყოფილება გამოუცხადოს (უმრავლესობით) კათოლიკოზს, თუ იგი დაარღვევს საქართველოს ეკლესიის კონსტიტუციის რომელსამე მუხლს.

შენიშვნა: დარღვეული მუხლი კონსტიტუციისა აღდგენილ უნდა იქნეს საჩქაროდ.

§ 9. თუ დიდმა საბჭომ, თანახმად მე-8 § ისა, უკმაყოფილება გამოუცხადა კათოლიკოზს სამჯერ, მაშინ კათოლიკოზი ვალდებულია გადადგეს თანამდებობიდან.

§ 10 თუ კათოლიკოზმა დაარღვია მე 9 §, მაშინ დიდი საბჭო ვალდებულია გადააყენოს კათოლიკოზი, გამოიწვიოს მოსაყდრე და მოიწვიოს საეკლესიო კრება, რომელიც განიხილავს მომხდარ განხეთქილებას.

§ 11. ყველა იმ შემთხვევებში, რომლებიც ამ კონსტიტუციას არა აქვს კათალისწინებული, დიდმა საბჭომ ამოქმედოს პარლამენტარიზმის ტრადიციებით საეკლესიო კანონებთან შეთანხმებით.

უხუცესთა კრებული

§ 12. უხუცესთა კრებული, რომელიც არის კოლექტიურად მასუხის მგებელი და ადმასრულებელი დაწესებულება დიდ საბჭოისა—უმაღლესი მართველი ორგანოთა საადმინისტრაციო, საგანმანათლებლო და სამეურნეო-საფინანსო დარგებში სრულიად საქართველოს ეკლესიისა; იგი არ ერევა წმიდა სარწმუნოებრივ-ზნეობრივ საკითხებში, რომლებიც სავსებით კათოლიკოზის კომპეტენციაში შედის.

§ 13. უხუცესთა კრებული დამოკიდებულია დიდ საბჭოსაგან და მისი გადადგომისათვის საკმარისია დიდ საბჭოს მისდამი უნდობლობის გამოცხადება;

შენიშვნა: უხუცესს არ შეუძლია სხვა რაიმე სასყიდლიანი თანამდებობის დაჭერა, გარდა მღვდლობისა.

§ 14. უხუცესთა კრებული აწარმოებს მიწერ-მოწერას სხვა ავტოკეფალურ ეკლესიასთან და რესპუბლიკის უმაღლეს დაწესებულებებთან, თანახმად მე-12 §-ისა.

შენიშვნა: მიწერ-მოწერა ხდება კათოლიკოზის სახელით: „მის უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოზ პატრიარქის უხუცესთა კრებული".

კათოლიკოზი.

§ 15. საქართველოს ეკლესიის საჭეთ მპყრობლად ითვლება მთავარეპისკოპოზი მცხეთისა, ეპისკოპოზი ალავერდისა, თბილელი მიტროპოლიტი და საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი, რომელსაც ირჩევს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება ფარული ხმის მიცემით.

შენიშვნა 1: თუ ხმები შუაზე გაიყო, მაშინ მათ შორის არჩევა ხდება წილის ყრით.

სტამბა სამხედრო სამინისტროსი, ლაბ. ის-ძელიქრვის ქუჩა № 3.